



IX წ. საქართველოს ბაზეთი. IX წ.

№ 36. კვირა, 2 სექტემბერი 1901 წელს. № 36.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი - სამი შაური.  
სკლის მოწერა მიიღება: თფილისში - «წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, თეატრის ქ., № 12.  
ტელეფონი № 734.  
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „КВА.П“.

შინაარსი: საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე, მოსახერხებელი მიმოხილვა. - სხვა-და-სხვა ამბები. - წესიერების გაძლიერებულ დაცვის დებულება. - კორესპონდენციები. - რუსეთის ცხოვრება. - საზღვარ-გარეთ. - ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება გუშინ და დღეს, ი. გომართელისა. - წითელი ვასილი, მოთხ. მ. გორკისა. - ფსინიურ და სოციალურ მოვლენათა თანდათანობაზე, Tusci-სა. - სოფლის მასწავლებელთა შესახებ, ვ. გიუნაშვილისა. - უურნალ-გაზეთებიდან. - წერილი რედაქციის მიმართ. - განცხადებანი.

საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე.

VI

დღევანდელი ჩემი საუბარი ისევ ბ. ჯორჯაძის ზოგიერთ მოსაზრებათა გარჩევას უნდა ვუძღვნა, სახელდობ, იმ მოსაზრებათა გარჩევას, რომლებიც გამოთქმულია მის წერილში „სოფელი და ქალაქი“ („ცნ. ფ.“ № 1535, 1536 და 1537). ბ. ჯორჯაძეს საიდანღაც მოჩვენებია, რომ ჩვენში არიან ისეთი პირები, რომლებიც ვითომ ამტკიცებენ, „რომ სოფელი გადაგვარების გზაზეა დამდარი და ეს გადაგვარება აუცილებელი საჭიროებაა ეკონომიური ცხოვრების განვითარებისათვის“. სოფლის გადაგვარებას, ავტორის სიტყვით, ეს პირები თურმე შემდეგ მოსაზრებაზე ამყარებენ: იმ ქვეყანაში, სადაც კაპიტალისტური წარმოება მყარდება, „ბრძოლა იწყება წვრილფეხა და დიდ მრეწველთა შორის. ეს ბრძოლა ჩნდება როგორც ქალაქში, ისე სოფელში. ქალაქში ჩვენ ვხედავთ სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალთა შეჯახებას, ხოლო სოფელში მიწათმფლობელების კაპიტალთა შორის. ქალაქში დიდი კაპიტალი ჰყლაპავს პატარას, სოფელში დიდი მემამულე წვრილფეხა მემამულეს. ამ რიგათ ქალაქში და სოფელში ხდება ეგრეთ წოდებული „კონცენტრაცია“ კაპიტალისა. ეს კონცენტრაცია, ე. ი. დიდი კაპიტალის პატარაზე გაბატონება და ამ პატარა კაპიტალის თანდათან გავრცობა, თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების განვითარების აუცილებელი პროცესიაო“ (№ 1535). ბ. ჯორჯაძე მკითხველს პირდება იმის დამტკიცებას, „რომ ხსენებული „კონცენტრაცია“ უფრო იდეოლოგია და მწიგნობართა ფანტაზიის ნაყოფია, ვიდრე ცხოვრების სინამდვილე“. თუ როგორ ამტკიცებს ავტორი ამ მოსაზრებას, ამას ჩვენ ქვევით დავინახავთ. აქ კი მხოლოდ შემდეგ კითხვას მივცემთ მას: რას ნიშნავს სოფლის გადაგვარების გზაზე დადგომა, რასაც ბ. ჯორჯაძის აზრით, ზოგიერთები ამტკიცებენ? თუ ეს „გა-

დაგვარება“ მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ სოფლის დიდი მემამულე ჰყლაპავს პატარა მემამულეს, რათ ეს გადაგვარება, იმავე პირების აზრით, ქალაქზე არ ითქმის, ვინაიდან ეს პროცესი, ე. ი. მსხვილი კაპიტალის მიერ წვრილი კაპიტალის დამარცხება, თანამედროვე ქალაქის ნიშნობლივ თვისებას შეადგენს. ბ. ჯორჯაძის მოწინააღმდეგენი მართალია ამტკიცებენ, რომ თანამედროვე მეურნეობაში თანდათან მყარდება წარმოების გაუმჯობესებული წესი, და რადგანაც ეს ფულს თხოულობს, ამიტომ სოფელშიაც ისე, როგორც ქალაქში, შედარებით დიდი კაპიტალის პატრონი იმარჯვებს. თუ ეს მოვლენა გადაგვარებას მოასწავებს, იმ შემთხვევაში უწინარეს ყოვლისა თანამედროვე ქალაქის განვითარება უნდა ნიშნავდეს ამ გადაგვარებას. მაგრამ ასეთი საოცარი აზრი ჯერ ჩვენში არავის წარმოუთქვამს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ პირთა, რომლებიც სრულფასოვან უარყოფენ მთელ თანამედროვე კულტურას. ასე რომ „სოფლის გადაგვარების გზაზე დადგომა“ მხოლოდ ბ. ჯორჯაძის ფანტაზიის ნაყოფია და მეტი არაფერი. ჩვენ მხოლოდ ვერ გავგიგია, რათ აწერს თავის მოწინააღმდეგეთ ბ. ჯორჯაძე ისეთ აზრს, რომელიც მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ ჩვენი ავტორი ამასაც არ ჯერდება. მის ჰგონია, რომ ვითომც ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება თხოულობს „მილიონ ნახევარი ხალხის გადატაკებას, მიწიდან მოშორებას, ჩვენი სოფლების დაცლიერებას და პატარა მემამულის და მიწადმოქმედის მუშათა ძალათ გარდაქმნას“ (№ 1535). ამნაირათ თუ თქვენ ამბობთ, რომ სოფლის მცხოვრებთა ერთ ნაწილს მიწის საკუთრება ხელიდან ეცლება და ქირაზე სამუშაოთ მიდის, ეს უსათუოთ „მილიონ ნახევარი ხალხის გადატაკება“; თუ თქვენ ამბობთ, რომ თანამედროვე ქალაქი და სააღმშენებლო და სამრეწველო ცენტრი იზიდავს ხალხს, ე. ი. ქალაქები სოფლებთან შედარებით ბევრათ უფრო იზრდებიან მცხოვრებლებით, ეს უთუოთ „სოფ-



ლებს და ცალიერებაა“. ერთი სიტყვით, ბ. ჯორჯადის ლოლიკა საკვირველი რამ არის. მაგრამ დავანებოთ ამას თავი და გადავიდეთ იმაზე, თუ როგორ გვიმტკიცებს ჩვენი ავტორი, რომ „იმისთანა კაპიტალისტურ ქვეყანაში, როგორცაა ინგლისი, ამ ოცი, ოცდაათი წლის განმავლობაში პატარა (ალბათ ავტორს უნდა ეთქვა წერილ) მრეწველობას საპატიო ადგილი დაუჭერია ეკონომიურ ასპარეზზე... მკვიდრი ფესვები გაუკეთებია და ქიშპობასაც უწევს დიდ მრეწველობას“.

ბ-ნი ჯორჯადე სერიოზული კილოთი მოგვითხრობს, რომ ორთქლის ძალის გამოყენებამ ქარხნებში ხელი შეუწყო მსხვილ მრეწველობის ზრდას, ასე რომ „ხელით მომუშავეები შესამჩნევად ჩამორჩენ ეკონომიურ ასპარეზზე და ქიშპობას ველარ უწევენ ორთქლის ძალით მომუშავე ქარხნებს... მაგრამ ეს იყო ორთქლის გამარჯვება სეკლით მომუშავეებზე და არა დიდი მრეწველობისა უკანა დიდი მრეწველობისა უკანა-ზე“ (№ 1536. ხაზს ჩვენ ვუსვამთ). მაშასადამე, თუ XVIII საუკუნის ბოლოს, როცა ორთქლის ძალა გამოიყენეს ქარხნებსა და ფაბრიკებში, მსხვილ მრეწველობამ დაამარცხა წერილი მრეწველობა ინგლისში, ეს მხოლოდ „ორთქლის გამარჯვება ყოფილა ხელით მომუშავეებზე“ და მეტი არაფერი. ასე რომ შემდეგ ხანებში, როცა ორთქლის მაგივრათ ელექტრონი შემოიღეს ქარხნებსა და ფაბრიკებში, ესეც, ჩვენი ავტორის ლოლიკით, ელექტრონის „გამარჯვება ხელით მომუშავეებზე“ და არა დიდი მრეწველობის—წერილზე! ეტყობა, დიდი ოხუნჯი უნდა იყოს ბ. ჯორჯადე! მაგრამ წერილი მრეწველობა, ე. ი. ხელსაქმობა, მხოლოდ პირველ ხანებში ჩამორჩენილი დიდ მრეწველობას: „გავიდა დრო—გვეუბნება ბ-ნი ჯორჯადე—და ამ დროს განმავლობაში პატარა (ავტორი წერილის მაგივრათ ყოველგან პატარას ხმარობს) მრეწველობაც თანდათან ფეხზე წამოდგა“, ე. ი. თანდათან გაძლიერდა ანუ გაიზარდა. ამ წერილი მრეწველობის გაძლიერებას და ზრდას ავტორი გვიმტკიცებს ინგლისის მაგალითით. მაგრამ აქ ავტორი ისეთ მოუშადებლობას და უცოდინარობას იჩენს, რომ ჩვენ სწორეთ გვრცხვენია მის მაგიერ. ყველასათვის ცნობილია, რომ ინგლისი კაპიტალისტური წარმოების კლასიკური ქვეყანაა, და მისი მრეწველობის განვითარების ისტორია სამაგალითოთ შესწავლილი და გამორკვეულია. ბ-ნი ჯორჯადე კი გვეუბნება, რომ ინგლისის მრეწველობის ისტორია სრულიად უცნობია, ასე რომ 1890 წლამდის არავითარი „ოფიციალური სტატისტიკაც კი არ არსებობს“, და მხოლოდ „ახალი კანონის მეოხებით (1895 წ.) შეგროვილი იქნა რამდენიმე ოფიციალური ცნობები შესახებ მრეწველობის მდგომარეობისა ინგლისში“. მკითხველი საზოგადოების ამაზე მეტი აბუჩათ ადგება შეუძლებელია. ინგლისის მრეწველობის დასახსიათებლათ მხოლოდ ერთი წლისთვის, სახელდობ, 1895 წლისთვის, გვაქვს ცნობებიო, მაშინ როცა ინგლისის საფაბრიკო ინსპექტორის წლიური ანგარიშები და აგრეთვე სხვა ცნობები ინგლისის მრეწველობის შესახებ ყველა ქვეყნებისთვის მისაბაძე მაგალითს წარმოადგენენ. გარდა ამისა ერთი წლის ცნობების მოყვანით განა შეიძლება რაიმეს ვაგება? თუ წერილი მრეწველობა ინგლისში, ბ. ჯორჯადის სიტყვით, თანდითან ფეხზე წამოდგა, ამის შესახებ მთელი რიგი ცნობები უნდა ყოფილიყო მოყვანილი სხვა-დასხვა წლე-

ბის. თუ ჩვენ არა გვაქვს არც წინა და არც შემდეგ წლების ცნობები მრეწველობის მდგომარეობის შესახებ, განა ჩვენ შეგვიძლია მის ზრდა-განვითარებაზე რაიმე მსჯელობა ან წარმოდგენა ვიქონიოთ? სულ წინააღმდეგ იქცევა ბ. ჯორჯადე. მას მოყავს მხოლოდ ერთი წლის ცნობები<sup>1)</sup> ინგლისის მრეწველობის დასახსიათებლათ! მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ცნობები ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული არიან, რადგანაც უმთავრესი და უფრო საჭირო ცნობების მოყვანა ავტორს სრულებით არ უცვნია საჭიროთ. იგი ასახელებს ერთი მხრით ქარხნების და ფაბრიკების რაოდენობას და მეორე მხრით მუშების რიცხვს, და ერთხელაც არ იხსენიებს წარმოებას რაოდენობას, მაშინ როცა უბირველესი მნიშვნელობა იმის დაფასებაში, ამა თუ იმ საქმეს წერილი წარმოების ხასიათი აქვს თუ მსხვილის,—ამ გარემოებას აქვს, რადგანაც მუშის ნაყოფიერება ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე არ არის: სადაც უკანასკნელი სისტემის გაუმჯობესებული იარაღებია შემოდებული, იქ ერთი მუშა ორჯერ და სამჯერ მეტს აკეთებს, ვინემ იქ, სადაც ასეთი იარაღები ჯერ ხმარებაში არ არის.

ამაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ ბ. ჯორჯადემ ინგლისის მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობაც (ან სტატისტიკაც) ვერ წარმოადგინა, და მისი განვითარების (დინამიკის) შესახებ ხომ სიტყვაც არ უთქვამს. მიუხედავად ამისა იგი გვეუბნება, „რომ პატარა მრეწველობას გადავივარება არ მოეღის, იგი თამამათ ახოუდგა გვერდში დიდ მრეწველობას, რომ იგი წარსულის „ნარჩენი“ კი არ არის, არამედ ჩვენი დროის მოთხოვნებიდანაა გამოწვეული“ (№ 1536). მაგრამ ეტყობა ბ. ჯორჯადეს სულ ბავშური წარმოდგენა უნდა ჰქონდეს თანამედროვე მრეწველობაზე: მას გონია, მაგ., რომ დიდ სამრეწველო დაწესებულებებში და დიდი მაშინების საშუალებით პატარ-პატარა ნივთების გაკეთება, როგორც არის, მაგ., ხარი ანუ ვინტი, ყოველად შეუძლებელია: ასეთი ნივთებისთვის უსათუოთ პატარა ქარხნები და პატარ-პატარა მაშინებია საჭიროვო!

თავის თავათ იგულისხმება, რომ ჩვენ არ ვიკვლევთ აქ, თუ როგორ ხდება წარმოების კონცენტრაცია, ე. ი. წერილ წარმოებათა გაქრობა და ამის მაგიერ მსხვილ წარმოების გაჩენა, მხოლოდ ვინც კი თანამედროვე მრეწველობას თვალს ადევნებს, იმისთვის აშკარაა, რომ ეს პროცესი შეუჩერებლათ ხდება, „სააკტიონერო ამხანაგობები, რომლებიც სოკოვებსავე იბადებიან ამერიკაში, ინგლისში, გერმანიაში და სხვა ქვეყნებში, სამუდამოთ ბოლოს უღე-

<sup>1)</sup> ბ. ჯორჯადე გვეუბნება, „რომ 1890 წლამდე ინგლისში თითქმის არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა“, და აქ მას მხედველობაში აქვს მხოლოდ ინგლისის მრეწველობა, ინდუსტრია. მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა და ნიშნავს მხოლოდ სრულს უვიცობას ამ საგნის შესახებ. თუ რამდენათ ამხინებებს სინამდვილეს ბ. ჯორჯადე, ეს, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვებიდან ჩანს, რომლებიც ვუთვინის ერთ გამოჩენილ ეკონომისტს და რომლებიც წარმოთქმული იქვან კიდევ შესამოცე წლებში: „ინგლისზე ჩვენ ვლიპარაკობთ განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი კლასიკური ქვეყანაა კაპიტალისტური წარმოებისა და გარდა ამისა ინგლისი ერთადერთი მხარეა, რომელსაც აქვს შეუსწავთელი ოფიციალური სტატისტიკა ინდუსტრიაზე“. Da Kapital, t I. ბ. ჯორჯადე კი კმაყოფილდება მხოლოდ ინგლისის მრეწველობის დასახსიათებლათ უბრალო სტატისტიკით „The Nineteenth Century“-დან (1900 წ.) და ისიც წერილი მრეწველობის შესახებ. ამის შემდეგ რაღა გასაკვირალია, რომ ჩვენი ავტორი ყოველ ფეხის ნაბიჯზე უარყოფს ცხოვრების სინამდვილეს.





ბენ წერილ და საშუალო წარმოებათ და სულ უფრო და უფრო ყლაპავენ კერძო კაპიტალისტებს. ამ პროცესის უკანასკნელი სიტყვა კარტელი და ტრესტია და ეს არა მარტო მრეწველობაში, არამედ მეურნეობაშია<sup>2)</sup>. ამერიკელი მწერალი კარიოლ დ. რაიტი, რომლის ხელმძღვანელობით გამოკვლეულ იქნა ამერიკაში მაშინური წარმოების და ხელსაქმის მდგომარეობა, 1899 წელს წერდა: „რამდენიმე წლის შემდეგ ხელსაქმობის შესწავლა შესაძლებელი აღარ იქნება ისე, როგორც ახლა. ხელსაქმობა ჰქრება ძლიერ შესამჩნევათ“. პროფ. რაუზბერგი სხვათაშორის ამბობს, რომ გერმანიაში 1852 წლიდან 1895 წლამდე დამოუკიდებელ მწარმოებელთა რიცხვმა იმატა 283,359, მაშინ რაც მუშების რიცხვმა მოიმატა 2.111,228, ე. ი. 7,5 ჯერ მეტი<sup>3)</sup>. ხელოსნურ წარმოებაშიც ამასვე ვხვდებით. თუ წინეთ, მაგ., ყველა ქარგალს შეეძლო დამოუკიდებელ ხელოსნათ გამხდარიყო, შემდეგმა ეს შეუძლებელი შეიქნება. ამას შევნიშნავთ ასურათებს შემდეგი პატარა ცხრილი, რომელიც ჩვენ ამოვიღეთ ბ. პროკოპოვიჩის წიგნიდან<sup>4)</sup>:

ას ხელოსანზე მოდიოდა:

	1798—1801 წ.	1822 წ.	1846 წ.	1861 წ.
ბრანდენბურგი	54 ქარ.	87 ქარ.	128 ქარ.	146 ქარ.
პომერანია	24 „	65 „	95 „	103 „
მფელბრუსია	— „	55 „	83 „	104 „

აშკარაა, რომ ყოველივე ეს გვიჩვენებს წერილ მწარმოებელთა და წარმოებათა თანდათან გაქრობას. რასაკვირველია იმის თქმა, რომ ისინი სულ გაქრებიან, არ შეიძლება; მხოლოდ თანამედროვე მრეწველობის განვითარება იმათ გაქრობისაკენ არის მიმართული. მაგრამ ბ. ჯორჯაძე ვერ ხედავს ამას ვერც მრეწველობაში, და მით უმეტეს ვერც მეურნეობაში. ამ უკანასკნელის შესახებაც მას კიდევ უფრო გაუგებარი და ყოვლად უმნიშვნელო ცნობები მოყავს. ჩვენ არ ვთვლით საჭიროთ ამზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. ვიტყვი მხოლოდ, რომ ისე წერა, როგორც ბ. ჯორჯაძე წერს, ყოვლად უნაყოფო და უმნიშვნელოა: ისეთი საგნები, რომლების ახსნა-განმარტება დიდ მოშაღებას და ხანგრძლივ შრომას და დაკვირვებას თხოულობენ, იგი ერთი დაკვირვებით წყვეტს, როგორც მას სურს. ინგლისის მთელი თანამედროვე მრეწველობის განვითარება მისთვის ერთი წლის ხუთ ექვს მშრალ ციფრებში მდგომარეობს: ეს პირდაპირ მასხრათ ავდება ყველასი და ყველაურის. საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა ბოლო მოვლას ასეთ უთავბოლო ლაზღანდარობას ჩვენ წარმოვადგინოთ.

მოსაუბრე.

### შინაური მიმოხილვა.

ეგზამენების მწვავე პერიოდი დასრულდა. სასწავლებელთა კარიდორები, საცა ამდენი ცრემლი დაიღვარა, ამდენი უნუგეშოობა და კვნესა აღმოხდა, დაცალიერდა. როგორც დიდი ქარიშხლის შემდეგ ყველაფერს ბრძოლის ნიშნები დაეტყობა და დაქანცული სულს გა-

ნაბავს, ისეთივე შედეგი მოჰყვება ხოლმე ეგზამენებსაც. ეგზამინატორი იგივე ქარიშხალი—ასსტიკი, შეუბრალებელი. დასრულება ეგ მწვავე ხანა; მოყვებით მსხვერპლის თვლას და რა აღმოჩდება: ასობით გულ-გატეხილი მოზარდი თაობა, მშობელთა ცუდათ დაკარგული შრომა და ფული! ასე დიდია ყოველთვის მსხვერპლი, რადგან ბრძოლის მოედანზე გამოსულთ რიცხვი ყოველთვის აუარებელია: ერთ ადგილს ათი ეცილება—ერთმა ცხრა უნდა მოკლას, რომ თითონ გაიმარჯვოს. „მოითმინეთ,—სასოწარკვეთილებით გაიძახის მშობელი,—ჩემ შვილს ოთხები მიუღია ყველა საგნებში, მაშ რათ მეუბნებით უარს?“—„იმისთვის, რომ,—არის პასუხი,—„ვაკანსია“ ერთია და იმ ადგილზე კი N მივიღეთ, რადგან მას ოთხების გარდა ერთი ხუთიც ჰყავს“. ამის შემდეგ რაღა ითქმის სამიანებზე. გაისათაჯ რომ ეგეთი საქმე მოუვიდეს ამ ბავშვსა და ამასთანავე რომ სრულიად წლოვანება დაეკარგოს, მაშინ? მაშინ ბავშვი სკოლის გარე დარჩება—მეცნიერების ტაძარს უნდა გამოეთხოვოს, სწავლის წყურვილი გულში უნდა ჩაიკლას. დიახ, სკოლების სიმცირე არა ერთსა და ორს ტოვებს სიბნელის მორევეში, არა ერთსა და ორს უხშობს განათლების კარებს. ჩვენ საკუთარ სკოლებშიც კი არ ვცდილობთ პარალელური განყოფილებები გავხსნათ და მით შეძლების გვართ დავაგმაცოფილოთ ის სწავლის სურვილი, რომელიც ასე გადაღებ სენივით მოდებია ჩვენ მხარეს და ასობით ერეკება პატარა ბიჭუკელებს სკოლის კარებისაკენ. ჩვენ საკუთარ სკოლებშიც კი არ ვცდილობთ, რამდენათაც შესაძლებელია, შევასუსტოთ ფორმალური მხარე ბავშვების მიღების, თხოვნის მირთმევის შესახებ და სხ. წარმოვიდგინოთ, მაგალითათ, რომ რომელიმე მიყრუებულ სოფლიდან ქვრივ აზნაურ ქალს ბავშვი ჩამოუყვანია ეგზამენის დასაჭერათ; ქალაქში ნაცნობი არავინა ჰყავს; საბუთები, რაც კი საჭიროა ბავშვისთვის, ყველა აქვს. მიჰყავს ბავშვი სკოლაში; თხოვნა უნდა შემოიტანოვო, ეუბნებიან. და, ვინ იცის, რამდენი ვაი-ვაგლახი გადახდება საცოდავ ქვრივს, რამდენ სულიერ ტანჯვას გამოივლის, მინამ ვინმეს იშოვიდეს, და ისიც ფულით, თხოვნას დააწერინებდეს. „ეხლაც არ დამწყნარებია მუხლების ცახცახი,—გულ-ახდილათ მითხრა ერთმა მშობელმა,—ყველასი მეშინოდა, ყველას ვერიდებოდი, ყველას სახეზე რაღაც მიუკარებლობას ვკითხულობდიო“. დიახ, ჩვენ გვესმის მშობლის გულის პასუხი.


საჭიროა მშობელს დავუახლოვდეთ; უფრო სადათ ვეჩვენოთ, შინაურულათ ვესაუბროთ და ისედაც მრავალტანჯულ ხელმოკლე მშობელს ტვირთი შევუძსუბუქოთ.

\* \*

ხელ-მოკლე ხალხს არც ჩვენი გამოფენის გამგენი ავდებენ სათვალავში. დღეს უკვე გაიხსნება გამოფენა. დღეს ჩვენი ასი წლის ნაყოფი მთელ ქვეყანას თვალწინ გადავმლება. უცხო და შინაური ამ გამოფენის საშუალებით დიავნაზს დაადგამს მთელ ჩვენ ერს, მის მოქალაქობრივ უნარს. ეს გამოფენა ნამდვილი სარკე უნდა იყოს ჩვენი წარსულის და აწმყოსი და იმავე დროს გასაღებს უნდა იძლეოდეს ახლო მომავლის დაახლოვებით მინც გათვალისწინებისას. ჩვენ, რასაკვირველია, დიდი ეჭვი გვაქვს გამოფენამ თავისი დანიშნულება სავსებით ასრულოს; ჩვენი აზრით ამ მხრით დიდი იმედებით აღფრთო-

<sup>2)</sup> „Науч. Обзор.“ 1901 წ., № 8. წერ.: „Теория Кризисов.“  
<sup>3)</sup> Ibid.  
<sup>4)</sup> Германия и Бельгия, стр. 4.





ვანებულები არც გამოფენის გამგენი არიან. მაგიერში იმ შიშს, რომ გამოფენის გამართვამ ვალი არ დაატეხოთ კისერზე და იქნება ცოტა მოგების სურვილსაც, მეტათ გაუტაცნია გამოფენის გამგენი და გამოფენაზე შესასვლელი გადასახადი მალალ წერტილამდე აუყვანია—1 მან., 50 კაპ., 30 კაპ. ხელმოკლე კაცისათვის ყველა ეს ფასები მეტათ სამძიმოა, და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ერთხელ და ორხელ შესვლით გამოფენაზე სრულ წარმოდგენას ვერ შეადგენს, გამოდის, რომ გამოფენის კარები უმრავლესობისათვის დახურული იქნება.

\* \* \*

ხოლო ტყუილა წყრება მედიცინის დოქტორი ივანე თიკნაძე «ც. ფ.» მე-1562 №-ში ვითომ «კვალს» კარები დაეხუროს მისთვის და მისი საპასუხო წერილი არ დაებეჭდოს. მედიცინის დოქტორი თვის წერილში ითხოვდა, რომ ჩვენ აღგვენიშნა ადგილი და დრო, თუ სად მოხდა ის, რაშიაც მედიცინის დოქტორს ამტყუნებდენ. რადგან ჩვენ უკვე გვქონდა მიღებული კორესპონდენცია, რომელიც სრულიად აკმაყოფილებდა მედიცინის დოქტორს, ჩვენც ავიღეთ და ეს წერილი მოვითავსეთ «კვალში» და მედიცინის დოქტორის წერილის დაბეჭდვა მეტათ ვცანიით, რადგან იქ კითხვის მეტი არა იყო რა. ამნაირათ მედიცინის დოქტორის ბრალდება ჩვენ უსაფუძვლოთ მიგვაჩნია. იმ ფაქტს, რომ ერთი ავთ-ჟყოფთაგანის გასინჯვაზე მედიცინის დოქტორს უარი უთქვამს, ამას ხელმეორეთ ამტკიცებს დღევანდელ ნომერში მოთავსებული წერილი მღვდლის ბარნაბა თენიშვილისა.

მთელი ჩვენი დანაშაული მხოლოდ იმაში მდგომარეობს. რომ მედიცინის დოქტორის მოკამათე მწკასე ბლუზიან იფილა და ისიც პრინციპი. «ექიმისთვის თავადს და აზნაურს გარჩევა არ აქვსო»,—უთქვამს მედიცინის დოქტორს ავთამყოფის პატრონისათვის. არც სერთუკს და მწკასე ბლუზას უნდა ჰქონდეს, მედიცინის დოქტორი, გარჩევა,—გეტყვიოთ ჩვენ.

გ.ო.

### სხვადასხვა ამბები.

საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის დღესასწაულში მონაწილეობის მიღება თბილისის ქალაქის თვით მართველობას, როგორც გამოუჩინარიშნათ, დაუჯდება 30,000 მანეთი. ამიტომ ქალაქის თავმა ევანგულოვმა გაუგზავნა თბილისის სახლის პატრონებს წერილები, რომლითაც ატყობინებს, რომ «სახელოვან ქართველთავედ-აზნაურთა მეთაურობით 25, 26 და 27 ენკენისთვის თბილისში გაიმართება დღესასწაულები საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის იუბილის გამო» და ამიტომ ქალაქის მცხოვრებთაც უნდა მიიღონ მონაწილეობაო, რისთვისაც ქალაქის თავი თხოვს სახლის პატრონებს სადღესასწაულო ხარჯის 30,000 მანეთის დასაფარავათ გამოიღონ ვისაც რამდენი შეუძლია და მოეხერხება.

გამოფენის კომიტეტს გადაუწყვეტია უფასოთ შეუშვას მოწაფენი გამოფენაზე. გამოფენის კომისარის განკარგულებით ბუფეტებში და სხვა კიოსკებში მიმსვლელთ ფულის ნაცვლათ მარკები უნდა წარადგინონ. ამ მარკებს ისენი შეიძენენ კასებში. ვინცობაა მყიდველს მარკები ერთ შესვლაზე არ დაეხარჯა, მას შეუძლია ეს მარკები შემდეგ შე-

სვლაზე დახარჯოს, ხოლო ფულის მიღებაკი უკანვე მარკების მაგიერ აღარ შეიძლება.

თბილისის სახალხო თეატრში, ავქალის ქუჩაზე წარმოდგენები დაიწყება 20 სექტემბერს.

ქართულ სათავად-აზნაურო თეატრში პირველი წარმოდგენა გაიმართება სექტემბრის 9-ში. წარმოდგენენ ვ. გუნიას პიესას «ციხის საიდუმლოს». როგორც ვიცით, ამ სეზონში დრამატულ გამგეობას ბევრი ახალი და ქართულ სცენაზე დაუდგმელი პიესები შეუტანია რეპერტუარში.

ფინანსთა მინისტრს საბოლოოთ გადაუწყვეტია კავკასიის საფაბრიკო ინსპექციის კანონის შემოღება მომავალი წლის პირველ იანვრიდან.

გადაუწყვეტიათ რკინის გზებზე მომუშავეთათვის შემოიღონ სამუშაო დროს განსასაზღვრათ ისეთივე წესი, როგორც სახელოსნო მუშათათვის არსებობს.

ამიერ კავკასიის საბებიო ინსტიტუტში განუზრახავთ ჯამაგირი მოუმატონ იმ ქალებს, რომელთაც უკანონოთ შობილ ბავშვებს აძლევენ გასაზრდელათ.

მთავრობის განკარგულებით მალე შეუდგებიან სილნალის მაზრაში ნავთიან ადგილების გამოკვლევას.

უმალღესი ბრძანებით უნდა ხელ-ახლა მოხდეს არჩევნები ქალაქ ოზურგეთის რწმუნებულთა რაოდენობის შესაგებათ.

ქალაქ თბილისის და კავკასიის სხვა ქალაქების შუამდგომლობა შესახებ უმალღესის სასწავლებლის გახსნისა კავკასიაში მთავრობას ჯერ-ჯერობით აღრეულათ უცვნია; ამიტომ ფული, რომელიც შეგროვილი იყო უმალღეს სასწავლებლის დასაარსებლათ, მთავრობას წინადადება მიუცია იგი გადასდონ საშუალო ტენიკურ, ან სამთო-სამრეწველო სასწავლებლის დასაარსებლათ კავკასიაში.

თფილისის სასტუმროს პატრონებმა ძლიერ აწიეს ნომრების ფასი, გამოფენაზე აუარებელ ხალხის ჩამოსვლის გამო.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ადმინისტრაციამ წინადადება მისცა თბილისის ქალაქის თვით-მართველობას დააჩქაროს სახელოსნო სკოლის რეფორმა.

### წესიერების გაძლიერებულ დაცვის დებულება.

მინისტრთა კომიტეტის დადგენილებით, როგორც გამოცხადებული იყო „პრავიტ. ვესტ.“-ში, თფილისში ერთი წლით შემოღებულ იქმნა გაძლიერებულ დაცვის დებულება. რადგანაც ჩვენში ბევრმა არ იცის, რაში მდგომარეობს ეს დებულება, ამიტომ საჭიროთ ვრაცხთ მოვიყვანოთ კანონთა კრებულისაგან თითქმის შეუშოკლებლათ





დებულების მუხლები (XIV ტ. 1-ლ ნაწ. მე-2 დამატ. 14—22 მუხლები).

14. იმ ადგილებში, სადაც გაძლიერებული დაცვის წესები იქმნება შემოდგომით, სახელმწიფო და საზოგადო წესიერების დაცვა ევალება გენერალ-გუბერნატორებს\*).

15. ამ მმართველს ნება აქვს: 1) გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი, რომელთაც საგნათ ექმნებათ შეუძლებლათ ჰყონ სახელმწიფო და საზოგადო წესიერების დარღვევა; მაგალითათ დადგენილებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოაწყონ სახლის პატრონებმა ყურის-გდება და წესიერების დაცვა თავიანთ სახლებში და სხვა ამგვარი; 2) თავის უფლებით სამ თვემდე დააპატიმროს ან ხუთასი მანეთი ჯარიმა გადაახდევინოს ყველა მათ, ვინც სავალდებულო დადგენილებათ დაარღვევს ან არ აასრულებს.

16. ამ მმართველს ნება ეძლევა აგრეთვე: 1) თვით გაარჩიოს ადმინისტრაციული წესით საქმე სავალდებულო დადგენილების დარღვევის შესახებ; 2) აკრძალოს ყველა სახალხო, საზოგადო და კერძო ყრილობანი, 3) მოახდინოს განკარგულება ამა თუ იმ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულების დახურვის შესახებ დროებით ან იმ დრომდე, სანამ მოქმედობს გაძლიერებული დაცვის დებულება და 4) აუკრძალოს ამა თუ იმ კერძო პირს ცხოვრება იმ ადგილში, სადაც გაძლიერებული დაცვის წესებია შემოდგომით.

შენიშვნა. კერძო პირის სხვა ადგილას გაგზავნის შესახებ მთავარ-მართველი წინ-დაწინვე უნდა შეეკითხოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

17. ამ მმართველს შეუძლია: 1) გადასცეს სამხედრო სასამართლოს ესა თუ ის საქმე, რომელსაც კანონით საოლქო სასამართლო უნდა არჩევდეს, თუ საჭიროდ სცნობს ამას წესიერების დაცვისათვის; სამხედრო სასამართლო იხილავს ამ საქმეებს იმ კანონით, რომელიც მოქმედებს ომიანობის დროს; 2) მოითხოვოს, რომ ესა თუ ის საქმე სასამართლოსაგან საჯაროდ არ იქმნას გარჩეული; 3) თუ საქმეს საოლქო სასამართლო გაარჩევს, შეუძლია შეზღუდოს ბრალდებულთა ზოგიერთი უფლებანი.

მე-18 და მე-19 მუხლებში აღნიშნულია წესი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს სამხედრო სასამართლო იმ საქმეების გარჩევის დროს, რომელნიც გამოიწვია სახელმწიფო წესიერების დარღვევამ.

20. ამ მმართველს შეუძლია მოითხოვოს დაუყოვნებლივ გადაყენება სამსახურიდან არა მარტო იმ პირთა, რომელნიც პირდაპირ ექვემდებარებიან საგუბერნიო მმართველობას და შინაგან საქმეთა მინისტროს, არამედ იმათიც, რომელნიც მსახურობენ საქალაქო, საერობო და სასამართლო დაწესებულებებში, გარდა მომრიგებელ მოსამართლისა და აგრეთვე იმ პირთა, რომელნიც არჩეულ არიან საქალაქო ან საერობო დაწესებულების თანამდებობაზე.

21. ადგილობრივ პოლიციისა და თანდარბთა უფროსს ნება ეძლევა: 1) დააპატიმროს, მაგრამ არა უმეტეს ორი კვირის ვადისა, ყველა ის პირნი, რომელთაც შესახებ საფუძვლიანი ეჭვი აქვს, რომ სახელმწიფო წყობილების საწინააღმდეგო დანაშაულობა ჩადინა ან ამა თუ იმ

საიდუმლო საზოგადოების წევრია; 2) გასჩრიკოს ყოველი სახლი, ფაბრიკა ან დაწესებულება და თავის უფლებით, უშაღწეს მთავრობის განკარგულებამდე, არესტი დააღვას ყოველგვარ ქონებას, რომლის შესახებ ეჭვი აქვს რომ ბოროტათ იხმარება.

22. თუ ადგილობრივი ადმინისტრაციული პირნი ბეჯითად არ აასრულებენ გაძლიერებულ დაცვის დებულების მოთხოვნილებათ, ისინი სასამართლოს განჩინებით დასჯილ იქნებიან; სასჯელი ამ შემთხვევაში ორის ხარისხით აღემატება კანონში აღნიშნულს სასჯელს.

კორექსონდენციები.

პიათურა. ამ ჩვენი დალოცვილი ჭიათურის ცსოვრუბას, რომ დაუკვირდეთ, ბევრი რამ საუცხოოა ხდება. რამდენათ ჭიათურის მიდამოს დედა მიწის გული მდიდარია, იმდენათ იმისა მწარმეკლების გული სარბი და გაუმადარია. გულტურული აფუკება ერისა მომასწავლებია საღვთის გაზატიანების, გონების და სხეობის გათაქიზებისა. ეს ჩვენი დალოცვილი ჭიათურა გი სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს. რომელიც გნებათ ძარცვანების მწარმეკლების კანტონს აიღეთ: იმაში მოსამსახურე (მე სასუში მუყას უმეტეს წაწილათ ძარცვანების მწონლები) მაშინ არის მოწონებული, თუ მეტათ ესტატურათ შეუძლია სასწორის გაჭან-გამოჭანება და მით საჭანლის წონის განასკურება, და სომ მოკესსენებათ ჭიათურის სიმდიდრე სულ სასწორით იწონება. მაშასადამე, რამდენათაც მწონელი მეტათ გაჭვრავს-გამოჭვრავს, ერთი ხელის დაკვრით სასწორის თავს დაბლა დასწის, იმდენი სარგებლობას თავისი პატრონისა, და ამისათვის პატრონიც გულწრფელათ და უსრუათ ავიღდოკებს თავის ერთგულ მოსამსახურეს ასეთი შრომისათვის. ისეთი მწონლები, რომლებიც სსკა ადგილზე და სსკა სამსახურში ვერ ეღიწება 10—15 მან. მეტს, აქ 80—100 მან. ითვლიან თვითურ კამაგირათ. აი ს... სარ, მოსე მწონადო, რომ შენ მაგებში ერთმა ვერ გავსო ს!

თუ მწონლების ასაღავნავი საშუალებისათვის ვერ ვერ მიუგინათ, სამაგიეროთ მანვე გაცების და ავასაკების მურეჭი უკვე გამოიგონეს,—ეს განსაღვთ იარაღის ტარების ავრძაღვა. ვინ უნდა იყენეს ეს ავასაკები, რომელთაც ჭიათურის რაიონში იარაღით გაულა სასტიკათ აღკრძაღული აქვთ? ესენი განსაღვთ მგზავნი, ანუ სოფლებიდან სავაჭროთ ჩამოსულნი, თორემ ჭიათურის რაინდებს, მგლავაძეებს სომ არ შეესებათ ეს განკარგულება!

კრისისის გამო დაღონებულ ჭიათურულ ასაღვანდით ერთი რამ საღვთისა და სატრეიალო დაწესებულება ეღიწათ. აქ სმირათ მოყვით შორეულ სოფლებიდან ასაღვანდია ქალები, ვითომ და ხელზე მოსამსახურეთ. აი ერთი მაგალითი: ავვისტოს შირველ რიცხვებში ამ დაწესებულების პატრონმა მოიყვანა ერთი ასაღვანდია ქალი საღამოს მატარებლით; მიიყვანა თუ არა დახინსულებისამებრ, ქალმა სსკა ქალებიც დაინახა, რომალებსაც გაწს უმაწვილები ბუზებოვით ესვიგნენ. იმათი ურცხვი საქციელი, უმსგავსო ღაზღანდარობა, რომელშიაც მასაც დაუბირეს ჩათრევა, არ ექანინება ქალს, მისედა რაშიაც იყო საქმე, გამოეკრდა გარეთ და გაიქცა; მაგრამ საითკენ გაიქცა თავათაც არ იცოდა, მომყვანიც თან დაუდგენა. მაგრამ ქალმა მოასწრო რჩინის გზის ბუფეტში შეკრდნა. იქ რამას ასაღვანდია უმაწვილმა ივისტოს იმის შეკლა და წაიყვანეს თავის ბინაზე, მაგრამ იქაც იმ რაიონივე საქციელი, იმ რაიონივე დაუ-

\* ჩვენში მთავარ-მართველს.



ნდობლობა. ერთ რაინდს გაგეო ეს ამბავი, შეუსტა; თუ ნებით შეუშვას, სასლში და რეკოლევი გულზე მიადო; გინდა თუ არა უნდა დაჭარბო ნამუსიო, და მოინდომს ქალის ძალით ნამუსის ასდა. ქალის იარაღი ცრემლია და კვიალი და ეს უკანასკნელი იარაღი დარჩა იმ ქალის მსხნელი იმ დამეს. მეორე დილაზე ეს ქალი ერთმა რკინის გზის მოსამსახურემ, ცოლშვილიანმა კაცმა, მიიყვანა სასლში და მოსამსახურეთ დაიჭირა, მაგრამ თხუთმეტი დღის შემდეგ პოლიციამ გაიგო ეს ამბავი და განამკვა ჭიათურადან.

25 აგვისტოს მღვიმის მონასტერში (ჭიათურის რაიონში) საჩხერადან სატის მოსალაგრავათ ჩამოვიდა ვაჭარი მღებროვის ცოლი ერთთ ერთი 10 წლას ვაჟათ-ცხვარე შესწირეს. როცა სასლში დაბრუნდა, გზაში დაისვენეს. ბავშვი ვაჭარზე ავიდა, მოუსხლტა ტოტი, დაეცა მიწაზე და იქვე სული ამოსდა. მადი და სატის მოსალაგრავათ სმირათ ნუ წავსვალ ხოლმე. იმავე დამის 11 საათზე კლდიდან გადმოვარდა მუშა აბჯამე დე მარს 10 საუ. სიმადლეზე უსულოთ დაეცა. საბრალო თურმე ტუნელში მუშაობდა, სალამოს კვირუელი ანგარიში მიიღო და ჭიათურაში მოდიოდა.

24 აგვისტოდან ჭიათურის უკვლა დუქნის და სასლუბის სვეტებზე შემდეგი შინაარსის ოფიშები იყო გაკრული: «26-ს სალამოს ჭიათურის თეატრში ქუთაისის დრამატული დასი გამართავს იაფ ფასიან წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება: «ადოკატი მელაძე», «არც აქეთ და არც იქით» და «დავიდონ» მეოთხე მოქმედება». დანიშნულ დროს სასლმა თავი შეიფარა თეატრის წინ, მაგრამ წარმომდგენლები არსად იუვნენ, მხოლოდ მოამბე გაუშვათ იქა, რომ ნუბართვა არ მოგვივიდაო. დალოცვილებს ჯერ რომ ნუბართვა აელოთ და აფიშები მეტე გაკრათ უმჯობესია არ იქნებოდა? წინეთაც აფიშებში სმირათ ამოგვივიტისავს ხოლმე, რომ უკანასკნელი საჯდომი სკამები 30—50 კამ. დირსო, მაგრამ როცა მივსულვართ და მოგვიტისოვია, უკანასკნელი ფასის ბილეთები აღარ ამოჩნდილა. არ ვიცით ვინ უიდელობს! მდიდარი და შეძლებული სომ იაფ ფასიანი ბილეთის უიდავს არ იკადრებს და დარბთათვის ვი არასოდეს არ მოიძებნება.

კამაიელი.

**ლიჩხუმი.** მოვარებებ ვისაც ჯერ არს ცაგერში ბიბლიოთეკა-სამეოთხველოს დაარსების საქმეს, რისთვისაც ძირის თანხათ ბ. ალ. ნუმსაძემ გამოიღო 20 მან., რაიცა ვიდევ იმას გადაუცია «კვალის» რედაქციისათვის და ზოგიც ხემთან არის, მაგრამ გადის დრო და სსენებულ საზოგადოებას ამოჩნვეითაც არავინ ამოურჩევია ჯერ, რომ ეს უკვე გამოდებული ფული გაგზავნოს და აგრეთვე მსურველთაც გაუგზავნონ თავიანთი წვლილი. რამდენიმე პირმა მითხრა: შეილება დაგვარათ გესურს შემწეობა აღმოუჩინოთ ცაგერში დასაარსებულ ბიბლიოთეკა-სამეოთხველოს, მაგრამ არ ვიცით ვის მივმართოთ. ამიტომ ვიდევ მოვარებებთ ლიჩხუმი-სვანეთის საზოგადოებას, რომ ასეთი სასარგებლო საქმის ასე წაყრუება არ ვარგა.

ა. ხაუელიანი.

**ს. სურამი.** (გურია). 13 აგვისტოს ადგილობრივ სტენის მოვარებთაგან წარმოდგენილ იქმნა ივ. მახაბლის პიესა «ადოკატი მელაძე» და «ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი», კოდეკალი 1 მოქმ. წარმოდგენას დიდძალი სალსი დაესწრო: სალაგატენილი იყო მაყურებლებით, კარგათ შესარულა თა-

ვისი როლი ბ-ნ რ. რამიშვილმა, სსვებს ვი როლების უცოდინარობა ეტყობოდათ. წარმოდგენის გათავების შემდეგ ბ-ნ ვანო რამიშვილმა განუმარტა დამსწრე საზოგადოებას თეატრის მნიშვნელობა; ბ. ჩხიკვაშვილმა შენიერათ წაიკითხა გრ. ორბელიანის ცნობილი ლექსი «მუშა ბოჭულაძე». სასურველია, რომ წარმოდგენები სმირათ იმართებოდეს, და ამიო მიეტეს სალსს საშეაღება თავისი სულიერი მათხოვნილებანი დაიძიკოფილოს. აგრეთვე სასურველია, რომ წარმოდგენების დროს მეტი წესრიგი იქმნას დაცული. შემოსავალი გადადებულ იქმნა მომავალი სასალსო სამეოთხველო-წიგნოსაცავის სასარგებლოთ. აგრეთვე კერძო პირთაგან შეგროვილ იქმნა შემოწირულებანი ამავე დაწესებულების სასარგებლოთ. იქვლია დაწერილებით ანგარიშს გამოაქვეყნებს ბ. კამე.

**ს.ო.უ. იწერი.** (ქუთ. მახარ).

ცამეტ აგვისტოს მოსდა ყრილობა ადგილობრივი საზოგადოებისა. მიხეუნი ამ ყრილობისა ის იყო, რომ არსებული ერთკლასიანი სასწავლებელი გადაკეთებათ ორკლასიანით. ყრილობაზე დასწრება მიხდობილი ჰქონდა სასალსო სკოლების ინსპექტორისაგან დაბასამტრედიის ბოჭულს ბ. ლ. მახარაძეს. ბ. მახარაძეს დიდი დავალი მიუძღვის ასეთ საქმეებში; მისი მოსებით ბევრი სასწავლებელია დაარსებული ჩვენში და ბევრიც ორკლასიანით გადაკეთებული. მისი მძუერი რჩევა-დაჩივება დიდათ მოქმედობს როგორც ცალკე პირზე, ისე მთელ საზოგადოებაზე. მან შენიერათ დაუსურათ საზოგადოებას ორკლასიანი სკოლის მნიშვნელობა და სარგებლობა და თან წაუკითხა საზოგადოებას ოქმა, რომლითაც საზოგადოებას ვალაი ედება ორკლასიანი სკოლისთვის შენობის აშენება და სსვა სარგებების გაწევა. საზოგადოებამ სისარულით მიიღო ეს წინადადება და უკვლამ ოქმას ფურცელზე ხელი მოაწერა. ამგვართ ჩვენი ერთკლასიანი სასწავლებელი, რომელიც აჯერ ოცდა სამაწელიწადია არსებობს, დღეს ორკლასიანით გადაკეთდა. აქ საჭიროთ ვთქვით ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარემოებაზე. სასწავლებელს აქვს მოპოებული პატარა ადგილი: იქ ვიდევ თუ მეორე კლასის შენობა აიგო, სულ არაფერი აღარ დარჩება. თუ მომავალ ორკლასიან სასწავლებელს ორი ან ქვევას ნასეგარი ადგილი არ ექმნა, არ ივარგებს და არ მოგვიტანს სარგებლობას. ამიტომ საჭიროა ადგილის შექმნა, რაშიც, იქვდი გავჭვს, დასმარებას აღმოქმენს საზოგადოებას კერძო პირები.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ბბ. მახარაძე, საზოგადოების მამასალსი ა. რუსაძე, მღვ. ს. ლეკვიშვილი, ი. სეთურელი, ეწრის სკოლის მძრუნველი დ. კ. კოპალეიშვილი, და ბ. გ. ნ. კოპალეიშვილი, რომლებმაც დიდი დასმარება გაუწიეს ამ საქმეს და სრული იქვდი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგშიც არ მოგვკლებენ თავიანთ დასმარებას.

ა. ნაცვალი.

**პიატიბოკრსკი.**

წელს აქაურ სამკურნალო წყლებზე დიდძალი ხალხი მოვიდა. დარუბანდის გზამ და რკინის გზებზე დაწეულმა ფასმა დაბალ ხალხსაც მისცა საშუალება ისარგებლოს სამკურნალო წყლებით. თუმცა ამდენი ხალხია მოსული, მაინც აქეთ-იქით გვემის სამღურავი მოვაჭრეთაგან, რომ ხეირი არა გვაქვსო. ეს მართალიც უნდა იყოს, რადგანაც წელს უმრავლესობა ღარიბი ხალხია საქემოთ მოსული. ხმირათ შემხვედრია „რესტორანი“ შემოსული სტუმარი, რომელსაც ნახევარი პორცია საქმე-





ლი უთხოვია. ჯერ აქაური პორცია რა არის, რომ ნახე-  
ვარმა პორციამ რა კუჭი უნდა გაუძლოს, მაგრამ რა ქნან,  
როდესაც სიღარიბე ნებას არ აძლევთ, რომ მეტი და-  
ხარჯონ.

ამ ბოლო წლებში დიდძალი ქართველი მოსამსახურე-  
ბები ჩამოდიან აქ სამუშაოთ რუსეთისა და კავკასიის ქა-  
ლაქებიდან. მზარეულები აქ კაი ჯამაგირს იღებენ, არიან  
ისეთნი, რომლებიც ორ თვე ნახევარში 300—400 მან.  
იღებენ. ლაქები კი ყველგან უჯამაგიროთ მსახურებენ.  
უჯამაგირობას ვინ ჩივის, რომ პირიქით ესენი არ აძლევ-  
დენ ჯამაგირს თავის ალა-ბატონებს.

რუსეთისკენ წასულ ქართველ მოსამსახურეთა მდგო-  
მარეობა სამწუხარო სურათს წარმოადგენს. ესენი ყვევინ  
არყის სმას, ლოთობას და რასაც შოულობენ, ქეიფში  
ფლანგავენ. ეს არის მიზეზი, რომ რამდენიმე წელიწადი  
თავის სამშობლო ქვეყანას ვეღარ უბრუნდებიან და თუ  
რომელიმე მათგანი ბრუნდება, უთუოდ ხასიათ გამო-  
ცვლილი.

ზემოთ მოვიხსენიე, რომ ლაქები პირიქით ჯამაგირს  
აძლევდნ თავის ალა-ბატონებს-მეთქი. აქაურ სასტუმრო-  
ბუფეტების პატრონებს ამგვარი წესი აქვთ შემოღებული:  
ლაქიამ უნდა შაიტანოს გირაო სადაც დადგება. გირაო  
განიყოფება სამგვარათ. ათი თუმნიდან ოცდახუთ მანათა-  
მდი. შეიძლება უბრალო მიზეზის გამო რომელიმე ჭულ-  
ქვა ხაზინმა გირაოზე ხელი ააღებინოს და დაითხოვოს  
საბრალო ლაქია. ამის გარდა ლაქიამ უნდა გაღიხადოს  
დღეში ექვსი შაური «კრუშკის» ფული. ეს ფული გროვ-  
დება ხაზინების სასარგებლოთ. ამიტომ ხუთი კაცის მა-  
გივრათ ათ-ხუთმეტ ლაქიას ამუშავებენ, ერთი მისთვის,  
რომ მათგან აღებულ გირაოს ფული მოაგებინონ და მე-  
ორეც, ხუთმეტ-ოცი კაცისაგან გადახდილი «კრუშკის»  
ფული უფრო მეტ «სუმასს» შეადგენს. აი, ბატონებო, ამ  
გვარ პირობებშია ლაქიათა მდგომარეობა და ნაცვლათ  
იმისა, რომ რაიმე წამალი დასდონ, გამოსულან ვილაცე-  
ები და უკიყინებენ: «ქურდები ხარ», «ნახალნათ» ექცევით  
სტუმრებს, ავადმყოფებს სისხლს უფუჭებთო» (იხ. გაზ.  
«კაზბეკი» № 1106). იმას კი აღარ ამბობენ დალოცვილე-  
ბი, თუ თვით ლაქიებს რამდენათ უშრობენ სისხლს და  
რამდენის „კაპრიზი“ უნდა აიტანონ.

ვ. კირვალიძე.

### რუსეთის ცხოვრება.

ჟურნალ «ობრატოვანიში» კვითსულობით: «განსვენებულ  
კატკოვის ქვრივმა მიმართა სახიფათო საურა განათლების მა-  
სისტრს, რომ მისი ქმრის ნაწერები ძალიან ცუდად იყიდება,  
მიუსხდევით იმისა, რომ განკარგულება იყო მომსდარი სამო-  
ქალაქო სასწავლებლის ბიბლიოთეკებს უეჭველათ შეეძინათ  
კატკოვის თხუხულებანი. კატკოვის ქვრივის თხოვნა დაკმა-  
ყოფილებულ იქმნა და მიეწერათ სამოქალაქო სასწავლებლებს,  
რომ დაუყოვნებლივ შეიძინონ მათ მ. ს. კატკოვის ნაწერები.  
პუშკინის შემდეგ ეს მეორე მსჯელობაა, რომ კერძო გამოცე-  
მანი ვრცელდებოდნ განსაკუთრებული განკარგულებით. უნდა  
ვთქვათ, რომ კატკოვის მთელი თხუხულებანი დიანს სეთი  
თუქანი. ეს ფასი თავის თავათ დიდად და მეტე კადეკ სამო-  
ქალაქო სასწავლებლებსათვის, რომელნიც წელიწადში იღებენ  
ხუთ თუქანს და ამ ფულით ისინი მოკალენი არიან არამეტე  
ბიბლიოთეკა შეკასონ, არამედ უნდა შეიძინონ სასწავლო ნი-

ვთებიც, მაგ., ბროშურები, გოგრაფიის კარტები, ანატომიის-  
თვის პრეპარატები და სხვა, დასძენს შემოსუნებული ჟურნალი.

გამოცხადდა წესი ფაბრიკებში ლექციების კითხვისა გი-  
ტენის, მედიცინის და ზარტუვის მოვლის შესახებ. კითხვ-  
ბის ნებასთვის იმლევა გუბერნატორი ამ პროგრამით, რომ  
მელიც დამტკიცებულია სამკურნალო ინსპექტორისაგან.

== გამოცხადდა უძღვესი ბრძანება წეს-რიგის შესახებ  
თუ, როგორ უნდა მოიხმარონ თანხა ავადმყოფ და დაშავებულ  
მეშათა დასასამკრებლათ.

== სოფ. ბოლშ. იჟორში (პენზის გუბერნია) ქარბ-  
შხალს დაუქტევიან 103 სახლი, კრძმის საავადმყოფო და სა-  
მი საკატრო დაწესებულება. სახალი ოციათას მანეთზე მეტია.

== მომავალ ნოემბერში პეტერბურგში გაისხნება კერძო  
კურსები ქალებისათვის აღმოსავლეთ ენების შესასწავლათ.

== როგორც გაზ. «პეტ. კედ.»-ი იუწყება, პეტერბურ-  
გში არსდება სახლი აქტიონურული საზოგადოება წიგნებისა  
და ჟურნალ-გაზეთების საკატროთ რკინის გზების სადგუ-  
რებზე.

### ს ა ს ღ ვ ა რ გ ა რ ე თ .

**ინგლისი.** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წარ-  
სულია წლის ანგარიშადან ვტუობილობით, რომ სამუშაო ფასი  
ინგლისში 1896 წლიდან მატულობდა ყოველ წელს, სოლო  
1900 წელს კი სამუშაო ქირამ ეგულა წლებს გადასჯარბა. სა-  
მუშაო ფასი მომატებათ ეგულაზე მეტი მანებში მომუშავეთ.  
სასჯარბაში წლის დამდეკს სამუშაო ფასი ერთ დონეზე და-  
დგა, სოლო წელს კი სულ-ნელა იკლო და ეგულაზე ნაკლებ  
სამუშაო ქირას დღეს ინგლისში იღებენ მანის, რკინის ქარ-  
სნების და ფულადის მომუშავენა.

წარსული კვირის ტრედ-უნიონისტთა კრებაზე ილანარკა  
კონგრესის პრეზიდენტმა ბაეგრძმანმა. ორატორმა აღნიშნა რა  
სახალი მოუვიდა ტრედ-უნიონისტთა საზოგადოებას მით,  
რომ მეშუბმა პარლამენტში დეპუტატთა ადგილები დაუთმეს  
იმისთანა პირებს; რომელნიც, მიუსხდევით მათის კეთილი  
სურვილებისა, ვეზ დაიცავდნ მეშათა ინტერესებს. ბაეგრძმანმა  
აღნიშნა რა პალატის ანგარიში, აუსსნა კრებას რა დიდი მნი-  
შენელობა აქვს იჟორის პალატაში მეშუბმა რაც შეიძლება  
მეტი წარმომადგენელი და რა დიდი საშუალება და ძალა აქვს  
საზოგადოებას არხევანებზე თვის წარმომადგენელ დეპუტატთა  
პალატაში ასარჩევათ.

**გერმანია.** ამ ბოლო დროს გერმანიის მოსამსახურე  
ქალებიც მსხუთ შეუდგნენ თავის მდგომარეობის გაუმჯობე-  
რობას. გაზ. «რუსკ. კედ.»-ს სწერს თავისი კორესპონდენ-  
ტი: «მოსამსახურეები ზედი-ზედ მართავენ კრებებს, რომე-  
ლსაც აურებელი ხალხი ესწრობა. კრებებზე ლანარკობენ  
იმასზე თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს გერმანიელ მოსამსა-  
ხურეთა მდგომარეობა. კრებებს ესწრობიან მდიდარი ოჯახის  
განათლებული ქალები. ზოგიერთი მოსამსახურის ლანარკვი  
აღცუბდა მსმენელთ. ისინი შესანიშნავი სიმარტივეთ და ნათ-  
ლეთ ასურხათებდნ თვის მდგომარეობას. კრებების პრაქტიკე-  
ლი შედეგი ის იყო, რომ დაარსდა მოსამსახურეთა ორი სა-  
ზოგადოება: ერთი რადიკალური—სახელით: «სამინაო შრო-  
მის დამსარებელი საზოგადოება». ამ საზოგადოებაში წევრე-  
ბათ მხოლოდ მოსამსახურეები არიან; წევრთა რიცხვი 300-  
დგა. მეორე საზოგადოებაში წევრებათ არიან ქალებატონები და  
მოსამსახურეები. ამ საზოგადოების მიზანია შეათანხმოს მო-



სამსახურეთა და ბატონების ინტერესები. მას ჰქვას 600-ზე მეტი წევრი. ორივე საზოგადოებას აქვთ თავისი გასეთები, მართავენ კრებებს, საღამოებს, ისმენენ ლექციებს და სხვ.

**ამერიკა.** წარსული კვირის დეპუტატ გვაცნობს, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტი მაკ-კინლეი მძიმეთ დასტურებით ანარქისტთა ლეონ ჩოგლასმა. პრეზიდენტს ერთი ტყვიანი მოსვლა მკერდ ზევით მსარში, ხალა მკორემ შეცვალა გაუარა. კერძო-კერობით იმედი აქვთ ექიმებს, რომ პრეზიდენტი მოარბებ. ანარქისტი ლეონ ჩოგლასი გემანული პოლიციელი ყოფილა. როგორც უთქვამს მას ამ დანაშაულობაში ანა ჰყოლია თანამოხარებები. მას გარდა დანაშაულის ჩიკაგოში კიდევ სუთი ანარქისტი კაცი და ერთი ანარქისტი ქალი.

ვილიამ მაკ-კინლეი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა კერძო 1844 წელს. ამ წელს ის მანაწილეობას იღებდა ამერიკისა და სამხრეთ შტატებ შუა ატეხილ ომში. 1887 წელს იგი იყო რესპუბლიკელებმა აირჩიეს ის კონგრესის წევრად. ხალა 1890 წელს მან გაითქვა მთელს დედამიწაზე სასული თავისი შესანიშნავი კანონ-პროექტებით. ამ პროექტით მაკ-კინლეიმ შესული ამერიკის ბასარა გარეშე სასული-მწიფეთა შემოტანის საკონდიდან და მით გაძლიერა თვით ამერიკის წარმოება. ამ პროექტით დაიმსახურა მაკ-კინლეიმ ამერიკის კანტადაისტთა ყურადღება და 1896 წელს ის აირჩიეს შტატების პრეზიდენტად, ამავე თანამდებობაზე სულმოკრეთ აირჩიეს ის 1900 წელს, თუმცა მას დიდი ბრძოლას უწევდა დემოკრატთა პარტიას.

**სამხრეთ-აფრიკა.** როგორც 28 აგვისტოს დეპუტატი იუწყება, ინგლისელებს ვინდებურთა მთავრად 9 ბურია, დაუჭრიათ შვიდი და ტყვეთ წაუყვანათ ამერიკა. ამის გარდა დაჯალთ დაწინადათ 7,000 პატრონი, 1,500 მსხვილფეხი საქონელი და აურბული სურსათი. ამავე დროს ინგლისელების მკორე საზღვრს ელიოტს ტყვეთ წაუყვანია ცხრა ბურია, მოუკლავს ორი. წაურთმეკათ 300 ურკი, 8,000 სული საქონელი და 1,400 ცხენი. დაუტყვევებიათ 800 ქალი და ყმა-წილი.

**იტალია.** საფრანგეთის იესუიტები, კონგრეგაციების გაუქმების შემდეგ სტოკებენ საფრანგეთს და სხვა სასული-ფოტოში მიდიან. უფრო ვი ისპანიაში და იტალიაში. ამიტომ იტალიის საერო საზოგადოების წარმომადგენელთ მოუსდენიათ რომში კრება და გადუწყვეტიათ არ შეუშან იტალიაში ფრანგი ბურების კრებულები. კრებას დაუდგენია ანარქოს გომიტტი, რომელმაც მთავრობას უნდა დაატანოს ძალა, რომ მან შესარული თვისი მოკლეობა და არ შეიკრებინას არამც თუ საფრანგეთის ბურები, არამედ თვით იტალიელ იესუიტთა წინააღმდეგ მიიღოს კანონიერი ზომები.

**ჩინეთი.** 27 აგვისტოს დეპუტატი ვიითსულობით სასული-მწიფეთა წარმომადგენელთ უკვე მოუწერათ სული ოქმისათვის. დაბლობათ შორის ისპანიას უსუცესმა ელჩმა წარმოსთქვა სიტუკა და გამოთქვა რომ ამერიკის დადგა სახლი სახან ჩინეთსა და კერობას შორის. პრინცი ცუნმა სიამოვნებით აღნიშნა რომ ხალა მოკლე შარშანდელ ატეხილ ომს, მან სთქვა რომ ამერიკის ჩინეთი აღარ წაქსიუბება სხვა სასული-მწიფოებს რადგან ჩინეთი სასულიებს უკვლამას, რასაც სასული-მწიფოებს შეუძლია სულმოკრეობით. უცხოელთა კარები სტოკებენ ჩინეთის ზოგიერთ ადგილებს. როგორც ვხვდებით სასული-მწიფეთა წარმომადგენლები დიდის სახარულით აღნიშნავენ ხელის მოწერას ოქმზე, ვინაიდან იგი

თავები ყოფილა იმისი რომ ჩინეთის მთავრობა აღარ წაქსიუბებს იარაღს სულს; მაგრამ თუ ყურს ვათხოვებთ, თქვენი ჩინეთის სახლის მოძრაობას, ის ვი სხვანაირათ ფიქრობს და; მგონი, არ უნდა იყოს თანხადა თავისი მთავრობისა.

**ჩინეთი საზოგადოებრივი ცხოვრება გუონ და დან.**

**I.**

საქართველო მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა თავისი საკუთარი ცხოვრებით, სხვა მას არაფერი არ აინტერესებდა, — სხვა სახელმწიფოთა ცხოვრებაში ის არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. ქართველობა იყოფოდა ორ დიდ წოდებათ: თავად-ანაურობათ და გლეხობათ. პირველიც და მეორეც სოფელათ ცხოვრებდა, — სოფელი ჩვენი ცხოვრების დედაბოძი იყო. გლეხობა მისდევდა ხენა-თესვას და მწყესობას და თავისი შრომით არჩენდა თავად-ანაურობას და სამღვდელეობას; ამ უკანასკნელთაგან ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში იყო თავადობა, — ანაურობა და სამღვდელეობა მისი მორჩილი მსახურელი იყო. მთელი აღებ-მიცემობა სომხების და ურიების ხელში იყო. გლეხების ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში თითქმის სრულყოფით არ შეცვლილა, თუ ცვლილებათ არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მან წარსულთან შედარებით მეტი მყუდროება და მეტი მშვიდობიანობა მოიპოვა; წინეთ მის კეთილ-დღეობას შეუჩერებოდათ უთხრილენ ძირს როგორც გარეული მტრები, ისე შინაური, — ეხლა-ვი მას ბატონის მეტი აღარაგინ წოდდა სისხლს. საქართველოს პოლიტიკურათ სიკვდილს გლეხობა სრულყოფით ინდიფერენტულათ შეხვდა; ის ყოველთვის უსამართლობის მსხვერპლი იყო, და ვინც უნდა ყოფილიყო საქართველოს ტახტზე და როგორიც უნდა ყოფილიყო მთავრობა, გლეხობა წარსულის მოგონებით იმდენად გულ-გატეხილი იყო, რომ სამართლიანობას აღარაგინაგან აღარ მოელოდა; ის შერიგებოდა თავის მწარე ხვედრს და მშვიდათ ეწეოდა თავის მძიმე ჰაბანს, ხალა ხანდახან თუ აკნუდებოდა ხალმე, ამას რაიმე წარსული ბედნიერების მოგონება ვი არ აძულებდა, არამედ უსამართლობის ნამეტანი სიმწვავე. მეცხრამეტე საუკუნეს თავად-ანაურობა სრულყოფით სხვა გულით დაუხვდა; წარსულის გამოთხოვებამ მას საშინლათ დაწვა გული, რადგანაც წარსულს ბევრი რამ გაყვა ისეთი, რისი მაგიერიც აწმყოს არაფერი მოუტანია. ამის უკეთ გასათვალისწინებლათ საქროა გავისხენოთ, როგორი იყო თავადის მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნემდინ, როგორ შეიცვალა ის მეცხრამეტე საუკუნეში. წინეთ მას გარშემო ეხვია ურიცხვი ყმები, რომელთა სულისა და ხორცის ერთათ ერთი პატრონი თვითონ ის — თავადი იყო, ყველა, ვინც მას გარშემო ეხვია, მას თვალწარბში შეჩერებოდა და მისი ყოველგვარი ეინის ასასრულეობათ ყველა გამზადებული იყო. ერთათ ერთი მოსამართლე თავის სოფელში ის იყო და იქ ყველას ბედ-იღბალს მხოლოთ ის ატარებდა. თუ სამშობლოს მტერი შემოესეოდა, მეფე მას თხოვდა, შენი კაცებით მომეშველეო; ის მეფის მარჯვენა ხელი იყო, ქვეყნის მართვა-გამგეობაში ის მონაწილეობას იღებდა; სასახლის კარი მისთვის მუდამ ღია იყო, — მეფის სახლში ის თითქმის მეფის ტოლათ გრძობდა თავის თავს, თავის სახ-





ლში—განუსაზღვრელ ბატონათ. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან თავადის ამგვარი მდგომარეობა სრულებით შეიცვალა. სამშობლოს მართვა-გამგეობაში მას ყოველგვარი მნიშვნელობა ჩამოართვეს, მეფე და მისი სასახლე მას ახლოსაც არავინ დაანახვია; თავის სოფელშიაც მას ბატონი გაუჩნდა, რომელიც ზოგიერთ მის მოქმედებაში ანგარიშს თხოვდა მას. თავადის თვითნებობას, თავისუფალ მოქმედებას ყოველის მხრით ფრთები შეეკვეცა. ყოველივე ამან ის არა თუ ქონებრივად დააქვეითა, თავის შინა-ყმათა თვალშიც კი სახელი გაუტეხა. თავადობამ იწყო წარსულის გლოვა, მოინდომა მისი დაბრუნება, მაგრამ ცდამ ამოათ ჩაუარა. ის იძულებული გახდა თავის ხვედრს შერიგებოდა და ერთმა ნაწილმა ღვინოში და ქორ-მეძებარში ჰპოვა თავისი იდეალი, მეორემ კალამი აიღო ხელში და წარსულის გლოვაში მოიპოვა სულის სიმშვიდე, მესამეს სამხედრო სამსახურმა დაავიწყებია ძველი დიდება.

ამ გვარათ მომდინარეობდა ჩვენი ცხოვრება მესამოცე წლებამდე; ცხოვრება იყო მარტივი და მდორე, მწერლობა ერთფეროვანი, მხოლოდ ერთი კლასის — თავადობის — სიმპატია-იდეალების გამომხატველი. რადგანაც სამხედრო სამსახურმა და ჩინოვნიკობამ შემოდგა ჩვენში ფეხი და ორივეს დიდი მოტრფილენი გამოუჩნდნენ ჩვენს თავადობაში, სწავლა-განათლება ნელ-ნელა აღორძინდა და თფილისში სასწავლებელიც კი დაარსა მთავრობამ კეთილშობილთათვის. ახალგაზღვრების ერთმა ნაწილმა, რომელსაც მაშინდელ დროსთან შედარებით რიგიანი განათლება მიეღო, ნელ-ნელა უკუაგდო პირადი ცხოვრების ვიწრო ფარგლები და გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე, მისმა მოღვაწეობამ ჩვენს ცხოვრებას სული შთაბერა და საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელიც თითქმის სრულებით აღარ არსებობდა, ორმოცდაათ წლებში ნელ-ნელა აღორძინდა, მაგრამ ცხოვრების ამოძრაობა შუაგულიდან, თვით ხალხიდან, კი არ დაიწყო, არამედ ზედაპირიდან — თავად-აზნაურობიდან. რუსეთთან დაახლოებამ ჩვენი არისტოკრატის ცხოვრებაში ერთი ღრმა ცვლილება კიდევ შემოიტანა, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენი არისტოკრატია გაეცნო ევროპული ცხოვრების გარეგან მხარეს, რაშიდაც მკირეოდენი შრომა არ მიუძღვის ვორონცოვს, შეუყვარდა ბალი და ვეჩერები, და რადგანაც ყოველივე ეს ფულს მოითხოვდა რაც ჩვენ არისტოკრატის არ გააჩნდა, არისტოკრატამ ნელ-ნელა შეტოვა ვალის მორევში; იმ დღიდან მოკიდებული დღევანდლამდე უფრო და უფრო ღრმად ეფლობა, ქონებრივად ის დღითიდღე უფრო და უფრო ლატაკდება და მას ველარავითარი ბანკები ვეღარ დააბრუნებს უკან, ვეღარ იხსნის დაღუპვისაგან. თავად-აზნაურობის დაღუპვის, ე. ი. საზოგადო ცხოვრებაში ყოველგვარი მნიშვნელობის დაკარგვის მიზეზი დავალიანება სრულებითაც არ არის, როგორც ბევრს ჰგონია ჩვენში; მიეცით მას დიდი შეძლება და მოაშორეთ ვალეები, — მიუხედავად ამისა ის მაინც ჩვენი ცხოვრების მეტბორცი იქნება, ჩვენი საზოგადოებრივი წინმსვლელობისათვის სრულებით გამოუსადეგარი; — დავალიანება, ეს მხოლოდ ერთი სიმპტომა იმ სნეულებისა, რომელიც ახალმა დრომ შეიძინა ჩვენს თავად-აზნაურობას და რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

მესამოცე წლებში ბატონ-ყმობა გადავარდა; ჩვენი ცხოვრების წინაშე წარსდგა ახალი დროის გერკულესი — თავისუფალი გლეხი, რომელმაც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღრმა ცვლილება შემოიტანა; რაც დრო გადის, ეს ცვლილება მით უფრო იზრდება. გლეხის გაუნთავისუფლებლათ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას დიდხანს და მრავალ-ფერათ განვითარება აღარ შეეძლო. ბატონ-ყმობა მოისპო, — ერის საწარმოვო ძალა განთავისუფლდა, თავისუფალი მუშა წარსდგა ცხოვრების წინაშე და გამოუცხადა: სანამ ეს ხელები შებორკილი მქონდა, მხოლოდ აქამდე შევიძელი შენი ზიდვა, რაკი ხელები გავითავისუფლე, მევე წავიღებ წინ და მეც შენთან ერთათ დავწინაურდებიო. მაგრამ ჩვენი ცხოვრების წინმსვლელობის მიზეზი მარტო თავისუფალი მუშა არ არის, არამედ თავისუფალი კაპიტალიც. ბატონ-ყმობის გადავარდნამ განთავისუფლებული გლეხი ზოგი სრულებით უმიწა-წყლოდ დატოვა, ზოგს ძალიან ცოტა მიწა არგუნა; თავად-აზნაურობამ კი ამ ცვლილებით ფული შეიძინა, რაც მას დიდხანს არ შერჩენია ხელში. ამ გვარათ თავისუფალი შრომის წარმომადგენელი პირველ ხანებში გლეხი იყო მხოლოდ. მისვლა-მოსვლა ჩვენში ნელ-ნელა გაუმჯობესდა, მალე რკინის გზაც გაიხსნა, და საქართველოს სიმდიდრემ ჩვენში ნელა-ნელა მოიტყუა უცხო ტომთა კაპიტალი; უცხო ტომის კაპიტალს გვერდში ამოუდგა ის თავისუფალი კაპიტალიც, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა და რომელიც თითქმის სულ სამხედრის ხელში იყო, მაგრამ კაპიტალი უძღლური იყო, თუ მას თან არ ექნებოდა სამუშაო ძალა და ამას ხომ თავისუფალი გლეხი აწვდიდა მას, — საქართველოში ნელ-ნელა დაიწყო კაპიტალისტური წარმოება. როგორ შეხედა ამ მოვლენას ჩვენი ერის სხვადასხვა ნაწილმა? სანამ ამას განვიხილავდეთ, საქიროა, პატარა ხანს უკან დავბრუნდეთ და გავიგოთ, რა გრძობანი აუშალა ქართველ ერს ბატონ-ყმობის გადავარდნამ, რა ცვლილება მოახდინა ერის აზროვნებაში განთავისუფლებულმა გლეხმა პირველს ხანებში? გლეხმა შეიძინა ადამიანური ღირსება და ამიტომ სიხარულით მიეგება თავის განთავისუფლებას, მაგრამ ასე ვერ შეხედებოდა ამას თავად-აზნაურობა. ისეთი მოწინავე პირიც-კი, როგორც ვახ. ორბელიანი იყო, რომელსაც სამშობლოს სიყვარული ძილშიც კი მოსვენებას არ აძლევდა, „დავიღუპეთ“ — ის ჩივილით მიეგება სამშობლოს ასეთ იშვიათ დღესასწაულს!

როდესაც ტბაში ქვას გადისვრით, წყალი ატოკდება და გაპობილი ალაგის გარშემო პატარა ტალღები ზედი-ზედ იწყებენ ნაპირებისაკენ ქიანს. სწორეთ ამგვარათ ატოკა ჩვენი მდორე ცხოვრება ყმის განთავისუფლებამ: ერთფეროვანი ცხოვრება ნელ-ნელა გამრავალფეროვდა; ერთფეროვანი აზროვნება მუისვე დაირღვა: მოწინავე პირნი ორ ნაწილათ გაიყვეს, — პირველმა ნაწილმა თავადურის მფარველობით გადმოხედა მაღლიდან გლეხს და მისი მასწავლებლობა, მისი აღზრდა მოინდომა, პრაქტიკული მოღვაწეობისათვის კი მას თავდაპირველათ არავითარი პროგრამა არ გააჩნდა და ვერც ხედავდა ასეთი პროგრამის საჭიროებას; სულითა და გულით ის არისტოკრატის ეკუთვნოდა, მისი მომხრე იყო და მისი ერთათ ერთი სურვილი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შესა-





ხებ ის იყო, რომ თავად-აზნაურობას თავისი უპირატესობა შერჩენოდა ცხოვრებაში, თავისუფალი ვლენი ყოფილიყო მშვიდი, წყნარი, მიწის ერთგული მუშა და ძველი ნაბატონარის მოწინავეთ პატივის-მცემელი და მორჩილი; ამ ნაწილს ჩვენი მოწინავე პირებისას ბატონ-ყმური წყობილება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთადერთ და სამარადისო ფორმათ მიაჩნდა; ამ ფორმის დარღვევა მის თვალში შეუძლებელიც იყო, არასასურველიც; ერთის სიტყვით, ეს ნაწილი განდა არისტოკრატის იდეოლოგი. მეორე ნაწილი ჩვენი მოწინავე პირებსა სულ ახალგაზრდობისაგან შედგებოდა და გამსჭვალული იყო დემოკრატიულ-ლიბერალური აზრებით. ჩვენი ქვეყნის გაძლიერებას ის ხედავდა სწავლა-განათლებლისა და ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებაში, ბატონ-ყმურ წყობილებას უარყოფდა, იურიდიულ კლასებს აღარავითარ მნიშვნელობას აღარ აძლევდა, უთითებდა ერს დასავლეთ ევროპისაკენ; მაგრამ მას ნათლათ არა ჰქონდა მოღვაწეობის პირველ ხანებში გამორკვეული, თუ ევროპის კულტურის გადმონერგვა ცხოვრებაში, თვით ერის გულში, რა ცვლილებას მოახდენდა. ამის უმთავრესი მიზეზი თვით ცხოვრების გამოურკვევლობა იყო: ბატონ-ყმური წყობილება იშლებოდა, ახალი ისახებოდა და ასეთ პირობებში ნათლათ გარკვეული, კონკრეტული პროგრამის შემუშავება ძნელი იყო. მეოთხნობოცე წლებიდან ჩვენი ცხოვრების ტენდენცია თან-და-თან გამოირკვა, მეოთხნობოცდაათე წლებში საწარმოვო ძალთა განვითარებამ ისეთი ცვლილება მოახდინა, რომ ეჭვს გარეშე იყო, ჩვენს ცხოვრებაში კაპიტალისტურმა წარმოებამ შემოდგა ფეხი და ჩვენი ერის განკერძოებული ცხოვრება მთელი ევროპის ცხოვრებას დაუკავშირა. თავისი საკუთარი გემოვნება რომ არავის არ ეხმარა სათვალეებთ ჩვენი ცხოვრების დაკვირვებაში, ამ აშკარა მოვლენას ყველა აზრისა და მიმართულების პირნი ერთნაირათ და ერთ დროს დაინახავდენ, მაგრამ ეს ნამდვილათ არ მოხდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისუფალი გლენის ცხოვრებაში გასვლამ ჩვენი მოწინავე თაობა ორ ნაწილათ გაყო: პირველი ჩვენი ცხოვრების წყობილებაში არავითარ ძირითად ცვლილებას არ მოელოდა და არც უნდოდა ამ მხრივ რაიმე ცვლილება; ნატურალური წარმოება და მასზე დამკვიდრებული იურიდიული კლასები ჩვენი ცხოვრების აღფა და ომეგათ აღიარა და ამით ცხოვრების დაკვირვებისათვის თვითონვე წინდაწინ დაიბრმავე თვალები. მეორე ნაწილი კი მოელოდა ცვლილებას, მას სურდა ეს ცვლილება, რადგანაც ნატურალური წარმოება და მასზე აშენებული საზოგადოებრივი წყობილება ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების უკვე მოძველებულ საფეხურათ მიაჩნდა; ის შეეხარებოდა ახალ საფეხურს და ამიტომ გაფაციცებით ადვენებდა თვალ-ყურს ჩვენი ცხოვრების ყოველ გვარ მოძრაობას, ყოველგვარ მოვლენას. მან უკვე მეოთხნობოცე წლებში შეამჩნია ევროპიული ცხოვრების ნიშნობილი ელემენტები ჩვენში და მისმა მიმდევმა და მისი მიმართულებისა და დაკვირვების გამგრძობმა ახალთაობამ მეოთხნობოცდაათე წლებში ხმა მალდა აღიარა: ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ძველი ფორმა იშლება და მის ალავს იჭერს ახალიო. აქედან თავის თავათ ცხადია პასუხი ზემოთ დასმულ კითხვაზე, თუ როგორ შეხებდა

კაპიტალიზმის აღორძინებას ჩვენს ცხოვრებაში ჩვენი ერის სხვა და სხვა ნაწილმა; ჩვენი მოწინავე თაობის მეორე ნაწილი უარყოფდა ბატონ-ყმურ წყობილებას, ის დარწმუნებული იყო რომ მხოლოთ კაპიტალიზმს შეეძლო ჩვენი ერის გამოყვანა წინსვლელობის გზაზე და ამიტომ, თუმცა გათვალისწინებული ჰქონდა კაპიტალიზმის ცუდი მხარეები, მაინც უკეთესი მომავლის იმედით გამხნეებული მიეგება მას. პირველი ნაწილი კი მოტრფიალე იყო ბატონ-ყმური ურთი-ერთობის, ის არისტოკრატის იდეოლოგი იყო და იურიდიული კლასების სამარადისოთ შერჩენის მომხრე; კაპიტალიზმი კი ყოველივე ამას უარყოფდა და ანადგურებდა. ამიტომ ჩვენი მოწინავე თაობის ამ ნაწილმა სასოწარკვეთილების თვალით შეხებდა კაპიტალიზმს.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება).

### წითალი ვანილი.

მოთხ. მ. გორკისა.

(დასასრული. — იხ. № 35).

— გოგოებო!.. ვინახულოთ ჩვენი სულიკო ავათ-მყოფი, თუ არა?.. ეშმაკურათ შეჰყვირა ლიდამ—და ყველანი სიცილ-ხარხარით გაეშურნენ ავათმყოფის სანახავათ. ვასილი თვალეზ დახუჭული იწვა ლოგინზე.

— ისეგ მოხვედით?!. შეუტია მან.

— გვებრალები, ჩვენო ვასილ, და იმიტომ მოვედით!..

— განა ჩვენ კი არ გვიყვარხარ?..

— აბა მოიგონე როგორ შეცემე!..

გოგოები ლაპარაკობდენ ჩუმათ, მაგრამ შტკიცეთ; შემოხვეოდენ მის ლოგინს გარშემო და მისჩერებოდენ მის ლურჯ სახეს ბოროტი და მხიარული თვალეზით. ვასილიც მისჩერებოდა მათ და ბრაზდებოდა; არასოდეს არ გამოხატულა მის თვალეზში ისეთი დაუკმაყოფილებელი შიმშილი როგორც ეხლა.

— გოგოებო!.. მოიცადეთ... ავდგები და...

— ეგებ ღმერთმა ჰქნას და ველარ ადგე... უთხრა ლიდამ.

ვასილმა კბილები დაახრქიალა და გაჩუმდა.

— რომელი ფეხი ქტკივა?.. აღერსით ჰკითხა მას ერთმა გოგომ. ამ გოგოს სახე გაყვითლებული ჰქონდა და კბილები დაღრეჯილი.

— ეს ფეხი ხომ არ ქტკივა?.. წაავლო ხელი ტკივან ფეხზე და ღონივრათ გამოსწია თავისკენ ერთმა.

ვასილმა საშინლათ დაიბღვლა. მას მარცხენა ხელიც დამსხვრეული ჰქონდა და ამიტომ გაიქნია მარჯვენა ხელი დასარტყმევათ, მაგრამ თვითონვე ჩაითხლიშა მუცელში. საშინელი ხარხარი მოისმა ყოველი მხრიდან.

— გოგოებო!.. დაიღრიალა მან საზარელი ხმით.— მომცილდით!.. დაგხოცავთ მე თქვენ!..

მაგრამ გოგოები დახტოდენ მის გარშემო, ჩქმეტავდენ მას, თმებს აგლეჯდენ, აფურთხებდენ სახეში და ეკიდებოდენ ტკივან ფეხზე. მათი თვალეზი ცეცხლებრ ანთებულიყვენ, იცინოდენ, იგინებოდენ და იღრინებოდენ ძაღლებივით. ისინი გაეტაცებია შურის ძიებას. ვასილი ღრიალებდა და იქნევდა მარჯვენა ხელს; „ხაზაიკი“ კარებში დამდგარიყო და ველურის ხმით ღმუოდა:





— გეყოფათ!.. თავი დაანებეთ... პოლიციას დაუძახებ!.. მოჰკლავთ თქვენ მაგ საწყალს!.. მაგრამ გოგონებს არ ესმოდათ მისი. ვასილი სტანჯავდა მათ მთელი წლოვით—ისინი კი სამაგიეროს უხდიდნენ ერთი წუთით და ამიტომ ჩქარობდნენ...

— უცებ ამ ხმაურობაში გაისმა ხვეწნის ხმა:

— გოგოებო!.. გეყოფათ ეხლა!.. შეიბრალებთ... ეგეც ხომ აღამიანია... მაგასაც ეტყინება... ამ ხმამ ცივი წყალივით იმოქმედა გოგონებზე და შემინებულნი უცბათ მოსცილდნენ ვასილს.

ეს ხმა აქსინასი იყო. ის დამღვარეულ ფანჯარასთან, კანკალით უქნევდა მათ თავს და ხელებს ხან მუცელზე იწყობდა და ხან წინ იშვევდა.

ვასილი უძრავად იწვა; გულზე პერანგი გახეოდა და განიერი ხშირი ბალნით შემოსილი გული მოუჩანდა, რომელიც ისეთის ძალით უძგერდა, თითქო გარეთ გამოვარდნა უნდოდა. იგი ხრიალებდა, და თვალებიც დახუჭული ჰქონდა. ჯგუფათ შეგროვილი გოგონები იდგნენ კარებთან ჩუმად, ყურს უდგებდნენ აქსინას ბუტბუტს და ვასილის ხრიალს. ლიდა იდგა წინ და თითებს ითავისუფლებდა ვასილის ქერა თმების ნაგლეჯებიდან.

— რო მოკვდეს?... მოისმა ვიღაცას ჩურჩული, და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

გოგონები ფრთხილად, თითო-თითოდ, უხმაუროდ გავიდნენ ოთახიდან და როცა ოთახი დაიცალა, იატაკზე გამოჩნდა რაღაც ნაგლეჯები და ნაფლეთები... ოთახში დარჩა მარტო აქსინა. მძიმე სუნთქვით მივიდა აქსინა ვასილთან და თავისებური ბოხი ხმით ჰკითხა:

— რა უნდა გიყოთ ეხლა შენ?!..

ვასილმა გაახილა თვალები, შეხედა აქსინას, მაგრამ პასუხი კი არ გასცა.

— თქვი... ეგებ გწყურია?... გინდა დავაღაგო... მე შემეძლია დალაგება... ან ეგებ წყალი გინდა... წყალსაც მოგიტან...

ვასილმა ხმის ამოუღებლად გაიქნია თავი, ტუჩები ააცმა ცუნა, მაგრამ არაფერი არა თქვა.

— აი... რა მოგივიდა... ლაპარაკიც კი არ შეგიძლია... უთხრა აქსინამ და ყელზე შემოიხვია თმის ნაწნავი... რანაირად დაგტანჯეთ, შე საწყალო!.. გტკივა განა, ვასილ?... არა გიშავს-რა... მოითმინე, ეს ხომ მალე გაივლის... ახლა გტკივა, თორემ მერე აღარ გტკინება... ეს მე ვიცი...

ვასილის სახეზე რაღაც შეკრთომა გამოიხატა. მან ჩახლჩილი ხმით თქვა:

— წყალი... მოიტა... ამ დროს მის სახეზე დაუკმაყოფილებელი შიმშილის გამოხატულებაც მოისპო.

ამის შემდეგ აქსინა სულ აღარ მოსცილებია ვასილს; ძირს საჭმელ-სასმელისთვის თუ ჩამოვიდოდა, თორემ მუდამ მასთან იყო. არაფერს არ ეუბნებოდნენ აქსინას ამხანაგები და არც „ხაზაიკა“ უშლიდა ავადმყოფის მოვლას; აღარც ზალაში სტუმრებთან გამოსასვლელათ უძახოდნენ.

აქსინა იჯდა ვასილის ოთახში ფანჯარასთან და თოვლით დაფარულ სახურავებს და რთვილისაგან გათეთრებულს ხეებს მისჩერებოდა. როცა მოწყინდებოდა ცქერა, იქვე სკამზე მიიძინებდა; ღამეც იქვე იატაკზე ეძინა. ისინი

ნი სრულებით არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს: თხოვდა ვასილი წყალს ან რასმე... აქსინაც მიუტანდა, ერთს გადახედავდა, ამოიხრებდა და ისევ ფანჯარასთან მივიდოდა. ასე გაიარა ოთხმა ღამე. „ხაზაიკა“ ცდილობდა როგორმე საავადმყოფოში დაეწვინა ვასილი, მაგრამ ადგილი ვერ ეშოვა.

ერთხელ, როცა ვასილის ოთახში სიბნელე ჩამოეშვა, ვასილმა ასწია თავი და იკითხა:

— აქსინა, შენ აქა ხარ?..

აქსინას თვლებმა, მაგრამ მისმა ხმამ უცებ გამოაღვიძა იგი.

— მაშ სად ვიქნები?... უპასუხა აქსინამ.

— აბა მოდი აქ...

აქსინა მივიდა ლოგინთან, დადგა მის წინ და ჰკითხა.

— რა გინდა?..

— მოიტა სკამი და აქ დაჯექი...

კედელზე, ლოგინის პირდაპირ, ეკიდა ვასილის საათი და აჩქარებით აწყარუნებდა. ქუჩაზე ეტლმა გაიქროლა; ძირს ხარხარობდნენ გოგონები და ერთმა მათგანმა მალალი ხმით შემოსძახა:

«შევი...ი...ყვარე...სტუდენ...ტი... მშიერი»...

— აქსინა!.. უთხრა ვასილმა,

— რა გინდა?

— რა გითხრა იცი... მოდი ერთათ ვიცხოვროთ...

— აკი ერთათ ვცხოვრობთ... ზარმაცათ მიუგო გოგომ.

— არა, მოიცა... მოდი ისე ვიცხოვროთ როგორც რიგია.

— კარგი... დავთანხა აქსინა.

— ძალიან კარგი.

ვასილი ისევ გაჩუმდა და დიდხანს იწვა თვალებ დახუჭული.

— აი წავიდეთ აქედგან და ვიცხოვროთ...

— სად წავიდეთ?... ჰკითხა აქსინამ.

— სადმე... მე ცხენის რკინის გზას ვუჩივლებ ჩემ დამახინჯებას... მომცემენ ფულებს... ჩემი ფულებიცა მაქვს ექვსას მანეთამდე...

— რამდენი?... ჰკითხა აქსინამ.

— ექვსასი მანეთი.

— ბიჭოს!.. თქვა გოგომ და დაამთქნარა.

— ჰო!.. მარტო ამ ფულებითაც შეიძლება საკუთარი საროსკიპოს გახსნა და კონკასაც თუ გადავახდევინე, მაშინ ხომ უკეთესი იქნება... წავიდეთ სამარაში ან სხვა ქალაქში და იქ გავხსნათ ჩვენი სახლი... ისეთი სახლი გავხსნათ, რომ მთელ ქალაქში პირველი იყოს... საუკეთესო გოგონები ავარჩიოთ... შემოსვლის ქირა „სტუმრებს“ ხუთ-ხუთი მანეთი გადავახდევინოთ...

— შენ ეგრე ილაპარაკე!.. გაიცინა აქსინამ.

— მერე რა არის აქ შეუძლებელი?


— რატომ!..

— როგორც მე ვამბობ, სწორეთ ისე იქნება... თუ გსურს, ჯვარიც დავიწვროთ...

— რაოო?... შესძახა აქსინამ და თვალები გიჟივით გადაატრიალა.

— ჯვარი დავიწვროთ!.. რაღაც მოუსვენრათ უთხრა ვასილმა.





— მე და შენი?!

— ჰო!

აქსინამ ხმამაღლა ედინხარხარა.

— რას იცინი?... ჰო, თხა ვასილმა და მის სახეზე ისევ ჩვეულებრივი გაუმძღვრელი შიმშილი გამოიხატა.

აქსინა ისევ ხარხარებდა.

— რას იცინი მეტი? ისევ ჰკითხა ვასილმა.

ბოლოს, როგორც იქნა, აქსინამ სიცილი შეიკავა და უთხრა:

— ჯვრისწერაზე ვიცინი... განა ეს შესაძლებელია?... ე ავერ სამი წელიწადი, კი არა მგონი მეტიც, არის რაც მაყდარში არ ვყოფილვარ!.. სულელი!.. ნახა ცოლი!.. სეგებ შეილებსაც მოვლი ჩემგან?... ხა, ხა, ხა!..

შვილების მოგონებამ აქსინას ისევ საშინელი გულწრფელი სიცილი აუტეხა. ვასილი ჩუმად მიჩერებოდა მას.

— განა, მე შენთან წამოვალ სადმე?... როგორ არა! შენ წამიყვან სადმე და მომკლავ!.. შენ ხომ ცნობილი მტარვალი ხარ!..

— გეყოფა!.. გაჩუმდი!.. უთხრა ვასილმა.

აქსინამ მოაგონა მას მისი სისასტიკე სხვადასხვა დროს.

— გაჩუმდი!.. ემუდარებოდა ვასილი აქსინას და როცა აღარ გაჩუმდა გოგო, ვასილმა ჩახლენილი ხმით დაუღრიალა:— გაჩუმდი, მე შენ გეუბნები!..

ამ საღამოს მათ მეტი აღარ ულაპარაკნიათ. ღამე ვასილს ბოღვა დააწყებინა; იმის განიერი მკერდიდან მოისმოდა ხრიალი და ყმუილი.

ვასილი კბილების ხრჩიალით აქნევდა მარჯვენა ხელს ჰაერში და ხანდახან თვითონვე მოხვდებოდა ხოლმე გულში.

აქსინას გამოეღვიძა, დადგა ლოგინთან და დიდ ხანს მისჩერებოდა იმის სახეს. მერე ისიც გააღვიძა.

— რა დაგემართა? ეშმაკი გახრჩობდა, თუ რა იყო?!

— ისე... მომეჩვენა... სუსტათ უთხრა ვასილმა... აბა მოიტა ერთი წყალი.

როცა წყალი დალია, თავი გაიქნ-გამოიქნა და გამოაცხადა:

— არა, აქსინა!.. არ გაუხსნი მე სამეძაო სახლს... უკეთესია ვაჭრობა დავიწყო... უკეთესია... საროსკიპოს არ გავადებ... არ მინდა...

— ვაჭრობა... დაფიქრებით უთხრა აქსინამ.. — ჰო... დუქნის გაღება და ვაჭრობა კი ძალიან კარგია...

— წამომყვები, თუ არა?... გადაწყვეტიტ ჰკითხა ვასილმა.

— შენ, როგორც ვხედავ, მარტლა მეკითხები!.. უთხრა აქსინამ და მოცილდა.

— აქსინა!.. დაიღრიალა ვასილმა; თავი მაღლა ასწია და ჰაერში მუშტი გაიქნა.— ამას ხედავ?!.

— შენთან მე არსად არ წამოვალ! გადაწყვეტიტ უთხრა მას აქსინამ, სანამ ვასილი თავის სიტყვებს დაათვაუბდა.— არსად არ წამოვალ!.. გაიგე?!.

— მე თუ მოვინდომე, კი წამოხვალ!.. წყნარათ უთხრა ვასილმა.

— არსად არ წა-მო-ვა... ლ!..

— მე თუ მოვინდომე, წამოხვალ!.. არ მინდა თორემ!..

— არა-მეთქი!..

— ჯოჯო!.. განრისხებით შეპყვირა ვასილმა... ხომ შეაღერსები, თავს დამტრიალებ!.. მაშ რაღა გინდა?!

— აქ სულ სხვა არის!.. გულიანათ უთხრა აქსინამ. შენთან ცხოვრება კი არ შემიძლია!.. მეშინია შენი!.. ძალიან ბოროტი ხარ...

— ეჰ! რა გესმის შენი?... ბოროტი ვარ!.. შე სულელი!.. ბოროტი რომ ვარ, მე კი მიხარია?!.

ვასილს ხმა ჩაუწყდა, ცოტა ხანს გაჩუმდა და თავის ღონიერი ხელი გულზე გადაისვა. მერე ნალვლიანი ხმით, წყნარათ დაიწყო ლაპარაკი.

— თქვენ რაღაც ძალიან თავს გაგივიდათ!.. ბოროტი ვარ!.. შენ გგონია ჩემი ადამიანობა მარტო ბოროტებაშია!.. ეჰ!.. რას მთხოვდენ მე ცხოვრებაში, რომ უკეთესი ვყოფილიყავი!.. წავიდეთ, აქსინა!.. წავიდეთ!..

— ნულა ლაპარაკობ მაგახე!.. არ წამოვალ... ჯიუტათ იდგა აქსინა თავისაზე და იქნეულათ ისევდა უკან-უკან.

ისევ შესწყდა მათი ლაპარაკი. ოთახში მთვარემ შემოანათა და მის სინათლეზე ვასილის სახე ლურჯათ მოჩანდა. ის დიდხანს იწვა ჩუმათ; თვალებს ხან გაახელდა და ხან დახუჭავდა. ძირს ცეკვავდენ, იმღეროდენ და ხარხარებდენ...

აქსინას ჩაედინა და ხვრინვა მოისმა.

ვასილმა ღრმათ ამოიოხრა.

გავიდა კიდევ ორი დღე, «ხაზაიკამ» იშოვა ვასილისთვის ადგილი საავათმყოფოში.

მოიყვანეს საავათმყოფოდგან ეტლი; თან მოჰყვა ფერშალიც. ვასილი ფრთხილათ ჩამოიყვანეს ძირს; მან იქ დაინახა ყველა გოგოები, რომელთაც თავი შეეყარათ ოთახის კარებთან. ვასილის სახე უცებ შეიცვალა, მაგრამ არაფერი არ უთხრა მათ. გოგოები მიჩერებოდნენ მას, მაგრამ თვალეში კი ვერ შეატყობდი, თუ რას ფიქრობდენ ვასილზე. აქსინა და „ხაზაიკა“ ჰალტოს აცმევდენ ვასილს; ყველანი ჩუმათ იყვნენ.

— მშვიდობით!.. უცებ წამოიძახა ვასილმა. მშვიდო... ბით!..

ზოგიერთმა გოგოებმა ჩუმათ დაუქნიეს თავი, მაგრამ ვასილს არ შეუმჩნევია ეს.

ლიდამ მშვიდათ უთხრა:

— მშვიდობით, ვასილ!..

— მშვიდობით... დაახ!.. მშვიდობით!.. ვასილი კარებიდან ისევ მოუბრუნდა გოგოებს და უთხრა:

— მშვიდობით!.. მე... მართალია... თქვენთვის... ვიყავი...

კიდევ ორმა თუ სამმა ხმამ უთხრა მას:

— მშვიდობით, ვასილ!..

— ეჰ!.. რა გაეწყობა!.. გაიქნა მან თავი და სახეზე გამოეხატა ისეთი რამ, რაც სრულიათ არ უხდებოდა მას.— მშვიდობით!.. ქრისტეს გულისთვის... რომელნიც... რომელთაც... აპატიებ...

— მიჰყავთ!.. წაიყვანებენ მას!.. ჩემ საყვარელს!.. უცებ ველურის ხმით შეპყვირა აქსინამ და გაიშხლართა იატაკზე.

ვასილი შეინძრა და თავი მაღლა აიღო. თვალეში საშინლათ გაუბრწყინდა მას. მას ესმოდა აქსინას ღმუილი და აკანკალებული ხმით ამბობდა:

— აი... სულელი... აი... სულელი!..





— წაიყვანეთ, წაიყვანეთ მალე! აჩქარებდა ფერმალი შექმნილი წარბებით...

— მშვიდობით!.. აქსინა!.. მშვიდობით!.. მოდი... საავათყოფოში... მნახე... ხმამაღლა დაიძახა ვასილმა.

აქსინა კი ისევ ღმუროდა:

— ვის და... უტო... ვე... ჩემი... თავი?!

გოგონები შემოცხვიენ გარშემო და მიჩერებოდნენ მის სახეს და თვალებიდან ლაპა-ღუბით გადმონადნენ ცრემლებს...

ლიდა დახრილიყო მისკენ და ამშვიდებდა მას:

— რა გაღრიალებს, ქსინა!.. ხომ არ მომკვდარა ვასილი? წახვალ მასთან... აი, ხვალვე შეგიძლია წახვიდე და ნახო...

ს. რობაქიძე.

ფსიხიურ და სოციალურ მოკლენათა თანდათანობაზე.

(წერილი პირველი).

წარმოდგინეთ, რომ თქვენ რომელიმე წიგნის წაკითხვა მოისურვეთ. სურვილის აღძვრისთანავე თქვენ ხმარობთ საკლარო დონისძიებას და ცდილობთ დაუყოვნებლივ მიადწიოთ სწავლ მისხსს. იღებთ სულში აღნიშნულ წიგნს და ათვალეულებთ იმდენათ, რამდენათაც თსოულობს თქვენი სურვილის ინტერესების დაკმაყოფილება. ამასთანავე თქვენ დაბუჯითებით გრწამთ, რომ სურვილის აღძვრა და მისი დაკმაყოფილება დამოკიდებულია მხოლოდ თქვენზე: შეგიძლიათ გამოიწვიოთ სურვილი და კიდევაც ასრულოთ, და შეგიძლიათ აღძრული სურვილიც ჩააქროთ, მიუსვლავთ ერთ და იმავე პირობებისა, რომელიც, ვთქვათ, ერთკვანთ მოქმედებენ როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში. ერთი სიტყვით, თქვენ გრწამობთ მოქმედების სრულ თავისუფლებას, ერთათ ერთი მიზეზი— ეს თქვენი სურვილია და მეტი არაფერი.

ნების ასეთ თავისუფლებას აღიარებდა ერთ დროს მთელი კაცობრიობა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მეცნიერებამ მკაცრი ინდუქტიური მეთოდით დრმა ანალიზს ქვეშ გაატარა კაცის ფსიხიური პროცესები, ეს თავისუფლება მხოლოდ განუუითარებელი გონების ილიუსიათდა დარჩა.

დღეს უკვლასათვის აშკარაა ის ფაქტი, რომ ბუნების მრავალგვარი მოკლენანი ერთიერთმანეთზე გადახმულ-გადაწულა. ერთი მოკლენა იწყებს მეორეს, მეორე მესამეს და ამ რიგით ხდება ის პროცესი, რომელსაც მოძრაობა ეწოდება. თუ ერთ შემთხვევაში რომელიმე მოკლენა შედეგი არის მის მიერ გამოწვეულ მიზეზ-მოკლენისა, მეორეჯერ ის მიზეზათ იქცევა და თავის თავათ იწყებს ასევე პროცესს.

მასთანავე, ბუნებაში აღეგი არა აქვს არავითარ წინადაწინ შედეგნილ გეგმებს, როგორც უწინ ეგონათ, არამედ უკველი მოკლენა ემორჩილება შეურყეველ აუღილებლობის განხრსს.


მეცნიერებამ ექსპერიმენტალური საშუალებით გაითვალისწინა ადამიანის ფსიხიური მდგომარეობა. აქ უნებურათ იბადება ვითვება, რომლის განმარტებაც საფუძვლათ უნდა დასდებოდეს ფსიხიოლოგიის შესწავლას: ემორჩილება თუ არა სასოგადოთ ორგანიზმების მოქმედება, და კერძოთ ადამიანის, იმავე ძალას, რასაც ეკვემდებარებინ ბუნების მოკლენები, თუ მათი სულერი მსარე გამონავლს შედეგს და თავის თავათ დამოუკიდებელ სუბსტანციას წარმოადგენს?

პროფესორი ფერუოტნი თავის შესანიშნავ თსწელებაში «სასოგადო ფიზიოლოგია» სკამათ ასაბუთებს იმ აზრს

რომ ადამიანი არ არის წარმოდგარი არაჩინისაგან, მისი ორგანიზმი შედეგია სასოგადო ევოლუციისა, ის ობიექტიური ბუნების შედეგია. ქიმიური ანალიზით მან აღმოაჩინა, რომ ცხოველთა და მცენარეთა ორგანიზმები შედეგებან რადენობით განსაზღვრული ნაწილებისაგან, იმ ნაწილებისაგან, რომლებიდანაც შემდგარია არაორგანიული ბუნებაც. არ არსებობს ადამიანის სსეულში ისეთი ელემენტი, რომელიც ბუნებაში არ მოაზავებოდეს და მის განსაკუთრებულ სეკუთრებას შეადგენდეს. მხოლოდ ნაწილები თავისებურათ ერთდებიან და ამ გარემოებით აისხნება ის განსსკვება, რომელიც არსებობს სსკვ-და-სსკვ ორგანიზმთა შორის. აქედან გამომდის ის პირდაპირი დასკვნა, რომ ადამიანი ნაწილია ობიექტიურ ბუნების და, როგორც ასეთი, უნებურათ ემორჩილება მის შეურყეველ კანონებს. რასაკვირველია, ასეთ აზრს კაცობრიობა დიდხანს ვერ უჩივდებოდა. ამ მოსაზრებასთან ერთათ შეერთებული იყო წარმოდგენა სიკვდილზე და საიქიო ცხოვრებაზე, რომელიც ელემენტების დაქსაქსვაში და დეზინტეგრაციის იხსტუბოდა. გარდა ამისა, უკანასკნელ დროს მოდათ გადაექცათ მატერიალისტურ თეორიის განვიცხვა, რომელიც მკაცრი ლოგიკით იცავს მონისტურ მოძღვრებას: მატერიალისტური თეორიის მოწინააღმდეგენი ქიმიური ელემენტების გვერდით სედვენ ეგრეთ წოდებულ «სინტეზის ძალას», რომელიც, მათი სიტყვით, დამოუკიდებელი სუბსტანციაა და რომელიც ერთათ ერთი მიზეზია ადამიანის ეოკვლგვარ მოქმედების და სულიერ მოძრაობისა. მტრამ თუ მონისტურ მოძღვრებაში ვერ სედავი ისინი სავამო საბუთს ფსიხიურ პროცესების შესახებ, მით უფრო უნიდაგოთ უნდა დაქსახოთ მათ მიერ აღიარებული დუალიზმი. პირველათ, თუ «სინტეზის ძალა» წარმოადგენს დამოუკიდებელ სუბსტანციას, იმ შემთხვევაში რით აკხსნათ ის გარემოება, რომ ის თავისს თავისებებს იხენს მხოლოდ ქიმიურ ელემენტებში და იმავე პირობებს ექვემდებარება, რომლებსაც ემორჩილებიან ეს უკანასკნელები? მეორეთ, ქიმიური ელემენტები ორგანიზმში არ იხენენ ისეთ განსაკუთრებულ თვისებებს, რომლებიც მათ შეერთებამდის არ ქჭონადეთ. მას, «სინტეზის ძალა» უმნიშვნელო ეოფილა ორგანიზმის ნაწილებში და არავითარ როლს არ თამაშობს ადამიანის სულიერ პროცესებში. ამას შემდეგ ჩვენ თამაშათ შეგიძლია განვიცხვადოთ, რომ დუალიზმი ეოკვლ მნიშვნელობას მოკვლებულია მეცნიერების თვალში. სულ სსკვ თვალთ უფურებს ადამიანის ფსიხიოლოგიას მონისტური სწავლა. უკანასკნელი ვერავითარ განსსკვებას ვერ სედავს, გარდა ფორმისა, ფსიხიურ და ფიზიკურ მოკლენათა შორის. ქიმიური ელემენტები ისე მოქმედებენ, იმავე თვისებით არიან აღჭურვილნი, რა თვისებაც ამ ნაწილებს ვომბინაციამდის ქჭონდათ. მოკვლეთ, ადამიანის გრწმობა, აზროვნება, ერთი სიტყვით, ეოკვლი მისი ფსიხიური მოძრაობა შედეგია ეგრეთ წოდებული «მოკვლულია რული მოძრაობისა».

ჩვენ ვიცით, რომ უმთავრესი თვისება მოკვლულების არის მოძრაობა, სოლო მოძრაობა თსოულობს განსაზღვრულ დროს. მასთანავე, უკეთუ ადამიანის მოქმედება, განსაკუთრებით მისი აზროვნობის პროცესი შედეგია მოკვლულია რული მოძრაობისა, იმ შემთხვევაში ეს პსიხიური პროცესები უნდა თსოულობდენ განსაზღვრულ დროს, როგორც ეს ხდება ფიზიკურ ბუნებაში. „მარღვთა სისტემის უკვლ პროცესები, ამბობს მოკვლელი, თსოულობენ განსაზღვრულ დროს, მით მეტს, რაც უფრო რთულია პსიხიური აქტი. ის, რაც თავის შესრულებისათვის თსოულობს დროს, დაკავშირებულია დროს-





თან და შეიძლება აჩვენებდეს მსოფლიო ნაწილების მოძრაობით.<sup>1)</sup> ამავე აზრს იმეორებს ბიუნენი. იმისი სიტყვით ადამიანის გონების პროცესები მსოფლიო ფორმის მოძრაობისა.<sup>2)</sup> დიდი ხანი ან გასულა ასეთ შესწავლების გამოთქმის შემდეგ მალეშობისა და ბიუნენის მიერ, როცა რუსეთის ლიტერატურაშიც აღიქვა კითხვა და საუკეთესო ფისიოლოგიის წარმომადგენელი მონისტურ მოძღვრებას მიემხრნენ. ამ მხრით შესანიშნავია სეჩენოვის «ფისიოლოგიური კრიტიკები», რომელშიც ავტორმა შესაფერავთ დასაბუთო ადამიანის მოქმედების ფიზიკური თვისებები. სეჩენოვს გვერდში ამოუდგა ვ. შიტინოვი და მეცნიერული წიგნით მიჰმართა პროფ. ჩელპანოვს, რომელიც უარყოფდა ფისიურ აქტების ფიზიკურ განხილვას დამოკიდებულებას<sup>3)</sup>. ასეა ვინაობა, რომდენათ მართლაც ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ავტორების მოსაზრება და რა მასალას იძლევა ცდაზე დამუშავებული გამოკვლევა.

მე-18 საუკუნის დამდეგს გრინვიჩის ობსერვატორიის დირექტორმა მოსკოლინმა შეამჩნია, რომ მისი თანაშემწე, რომელსაც უნდა სისწრაფით აღენიშნა დრო ცის მნათობთა ტელესკოპის მედიანთან დაბრუნებების, ყოველთვის ნიშნავდა დაგვიანებით 0,5—0,8 წ. დირექტორმა ეს დაგვიანება თანაშემწის დაუდევრობას მიაწერა და ის სამსახურიდან გააგდო. მსოფლიო 1829 წ. მეცნიერმა ბუსსელმა გულმოდგინე დაკვირვების შემდეგ აჩვენა ნამდვილი მიზეზი ასეთი დაგვიანებისა. მიზეზი მდგომარეობდა კერძო წოდებულ «დროის რეაქციის»<sup>4)</sup>. შემდეგ უფრო დაკვირვებული ცდა მოახდინა ლონდონმა, უტრეხტის უნივერსიტეტის პროფესორმა. ის ამოუშვებდა სმას, რომელიც აქ მყოფ მეორე პირს უნდა გაემეორებინა. ღონდონის სიტყვით, დრო განუვლილი შთაბეჭდილების და რეაქციის შორის უდრის სეკუნდის 1/5 წ., სმინისთვის—1/6, შესებისთვის—1/7. მაგრამ, როცა ღონდონს განუცხადეს, რომ დრო, შეიძლება, ორგანიზმის მოწეობაში მიდის, მან უფრო რთული ცდა მოახდინა. ის წამოთქვამდა რამდენიმე სმებს, მისი თანაშემწე კი ერთ იმათგანს გაიმეორებდა. ამ ნაირთ თანაშემწემ ან იცოდა რომელი სმა უნდა გაემეორებინა, მსოფლიო სმის წამოთქვამელი ორგანიზმი კი მზათ ჰქონდა. აქ მან სამ გვარი ცდა მოახდინა. 1) ექსპერიმენტატორი გამოთქვამს რამდენიმე სმას, რასაც თანაშემწე მწეობრათ იმეორებს; 2) ექსპერიმენტატორი ერთ სმას იძლევა—თანაშემწე დაუფიქრებელი იმეორებს. 3) ექსპერიმენტატორი სხვა და-სხვა სმებს გამოთქვამს; სოლო თანაშემწე ერთ მათგანს იმეორებს. ცდის შედეგი შემდეგ ნუსხაში გამოისატა:

საშუალო ფიზიოლოგიური დრო:

1	ცდის დროს . . . . .	0,284	წ.
2,	" " . . . . .	0,201	"
3,	" " . . . . .	0,237	"

უადგილო ან იქნება აქ ა. გერცენის გამოკვლევა: აღნიშნეთ. უკანასკნელი მით სანტურესა, რომ უხევეს დროის გაგრძელებას პროპორციულად ადამიანის განვითარებისა. 7 წლის ბავშვის ფეხი და ხელი აღნიშნენ შემდეგ დროს რეაქციას:

1) Kreishaut des Lebens, изд. 5 1877—1887 წ.  
 2) Bucher, Krajt, und Stoff, сюр. 309.  
 3) Эскурсия въ области таинственнаго, 1899. 378—398 стр.  
 4) Герценъ „Физиологія души“. 1894 г.

	ფეხი	ხელი
7 წლის	0,600 წ.	0,620 წ.
8 „	0,575 „	0,585 „
9 „	0,450 „	0,490 „
10 „	0,443 „	0,413 „
11 „	0,386 „	0,364 „
12 „	0,356 „	0,329 „
13 „	0,333 „	0,318 „
14 „	0,300 „	0,273 „
15 „	0,295 „	0,254 „

ეს ცხრილი საკმაოდ აბტვიცებს იმ აზრს, რომ ფისიური პროცესები, რომლებიც თხულებენ რამდენიმე დროს თავის შესრულებისათვის, ან შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არა მოძრაობა, მასხადამე, ადამიანის მოქმედება შედეგია «მოლეკულარულ მოძრაობისა».

მეორე თვისება მოლეკულების მოძრაობისა, როგორც ფიზიკა გვასწავლის, იმ მაგალითში ისატება, რომ ნაწილების მოძრაობა თან იწვევს ტემპერატურის ამაღლებას. იმის დაგვართ, თუ როგორ მოძრაობენ მოლეკულები, ვითარდება სითბოც. გულმოდგინე მკვლევართ ანც ეს კითხვა დაუტოვებიათ განუმარტავთ. ამ მხრით საყურადღებო ცნობები ფისიოლოგმა შიფფმა წარმოადგინა. იმისი აზრით, როცა ორგანიზმი იღებს შთაბეჭდილებას, ტენიის უმაღლეს ცენტში ჩნდება სითბო, რომელიც პროპორციულად ვითარდება მოძრაობის ძალასთან. როგორ მივიდა ის ამ დასკვნამდის? ცდის მოსახდენათ შიფფმა გაუსწორა ძაღლს კეფა, სადაც სიფრთხილით ჩაუდგა სითბოს მანკრებული ტერმოდექტორული ნემსები. ცხველი მოახილეს რამდენიმე დღეს რომ შესწავლა მასზე მომხდარ კრილობას. ორი დღის შემდეგ მეცნიერი ცდას შეუდგა. შიჩველი გამოკვლევა ენოსკას ესებოდა. ქაღალდში ჩასდგეს ქონის ნაჭერი და ცხოველს წაუჩვენეს. ძაღლის ცხვირის ნესტოები გაიფიქრნენ: ის ენოსკადა საჭმელს და ამავე დროს თერმომეტრის ისარი, რომელიც მანამდის 0 ეპირდაპირებოდა, 8° იწია. ცდა რამდენიმეჯერ იყო განმეორებული. ასეთი ცდა მოახდინა შიფფის ცხოველის გრძნობის ყველა ორგანოზე და ყოველთვის ერთი და იგივე აზრის დამამტვიცებელი საბუთი მიიღო; რომ შთაბეჭდილება შედეგია მოლეკულარულ მოძრაობისა, —ადამიანის სხეული, რომელიც მოლეკულებიდან შეიღება, ექვემდებარება ფიზიკურ განხის: მოძრაობასთან ერთად ვითარდება სითბოც.<sup>5)</sup>

ამ რიგით ადამიანის მოქმედება გამოწვეულია იმ ფიზიკურ განხით, რომელიც ამოძრავებს მოლეკულებს და აუცილებლათ იწვევს ამა თუ იმ მოკლებებს. იმის მისევეთ თუ როგორ მოძრაობენ ნაწილები, ფისიური აქტებს სჭირდებათ დრო და თანაც ანვითარებენ სითბოს. ასეა ვივითხოთ, რა ამოძრავებს მოლეკულებს, რა აძლეებს იმათ ასე თუ ისე ამოქმედებას ადამიანი, ესე იგი, ადამიანის მოქმედების პირველი მიზეზი მსოფლიო ის ნაწილებია, რომლებიდანაც თვითონ შესდგება, თუ ესეც შედეგია რამე სხვა პირობებისა? ამ კითხვასეც ვასუნს შემდეგი ცდა გვამდგეს. თავმოტრფი ბაყაი ჩამოკიდებული იყო ისე, რომ უკანა ფეხები თავისუფლათ იყვნენ დაშვებულნი. ამ დროს შენიშნეს ფეხის გაღუნვა-გამოღუნვა. მაგრამ როდესაც გასჭრეს ძარღვი, რომელიც უკანა ფეხებს ცენტრალურ ძარღვებთან აერთებს, ფეხის მოძრაობა შეწყდა. ცხადია, რომ ფეხის რეფლექსები გამოწვეუ-

5) Герценъ „Физиологія души“.





ლი იყო ცენტრალურ მოღვაწელების მოძრაობიდან. მაშ, რით იყო გამოწვეული ფენის ნძრევა? ფენები შეერთებულა ცენტრალურ ძარღვთა სისტემასთან, ეს უკანასკნელი კი შთაბეჭდილებებს გრძნობს სხვა და სხვა ორგანოებიდან იღებს. შთაბეჭდილება მოქმედებს ზიროვლათ ორგანიზმის გრძნობებზე, მოძრაობის ძალით გადადის ცენტრზე, იქიდან კი იფანტება სხეულის სხვა-და-სხვა ადგილებში<sup>6)</sup>.

ასეა ვგონებ, ნება გვაქვს დავასკვნათ, რომ ადამიანის სუბიექტური მხარე არ წარმოადგენს ზიროვლ მიზეზს მისი მოქმედებისას. ფსიხიური აქტებიც შედეგია სხვა და სხვა ზიროვლებისა, რომლებიც მას ძალა-უნებურათ იწვევენ. თვითოველი ჩვენი მოქმედება, რეფლექტორულ პროცესებიდან დაწვეული გონების მოძრაობიდან აუცილებელი შედეგია მათი გამოძვევებულ მიზეზებისა. დასკვნა: ნების თავისუფლება, როგორც უზიროვლესი მიზეზი ადამიანის მოქმედებისა, მხოლოდ მოჩვენებაა. ადამიანის უოველი მოქმედება ეჭვმიტანილობა იმ ძალას, რომელსაც „აუცილებლობის კანონი“ ეწოდება.

Tuuci.

სოფლის მასწავლებელთა შესახებ.

ვევლას კარგათ მოესხენება, რომ ჩვენში სოფლის მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი ვევლასაგან ახუზათ არის აგებული. დიდი გამოცდილება და ცოდნა-სერისი ჰქონათ მასწავლებელს, რომ შეიძლოს ისე დაეხმაროს თავი, რომ სულსში შესაფერისი პატივისცემა დაიმსახუროს, მათზე გავლენა იქონიოს; ასეთი მასწავლებელი-კი, ჯერჯერობით მანინ, ჩვენს სოფლებში იშვიათია. ხალხი რომ ღირსეულათ არ ექცევათ, რა თქმა უნდა, ეს თვით მასწავლებელთა ბრალიც არის, მაგრამ ამ მოვლენას კარგე მიზეზებიც ბევრი აქვს. ამ უამთ მე მინდა მოვავლო მეათხველს ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი. ეს ის გასლავთ, რომ საზოგადოთ ვევლას „ჩინოსან-ეზოლეტოსანნი“ როგორღაც მალდიდან დასცქერაინ შემოადნიშნულ „სოფლის ფუტკვართ“, თავიანთი სელექციები გონიათ, უბრალო, შეუგნებულ მოკვამაგირესავით ეუზრობიან.

მაგალითებისათვის შორს არ წავალ და ჩემ თავ-გადასახელს გაიმბობთ: ზერევისში (შორანის მახრას) სამსახურის დროს სწორეთ თავი მქონდა მოხუცრებული ზოგერთ მოსულეთა წყალობით. მაშინდელი ადგილობრივი ბოქაული ბ. ნ. ნი ორ-სამ კვირისათ (ჩამომეთესლებოდა) სოფლმე და მისგან სწორეთ ილაჟი მქონდა გაწვევტილი. მეჩე სომ მოგესხენებათ თუ რა მხელია უსიამოვნო, დაუპატიუებელ სტუმრის ცქერა. მე კიდევ არაფერი, დემეტო ჩემო! ხალხს როგორ სტავავდა! როდესაც გუცქეროდი მის საქციელს, უნებურათ მაგონდებოდა ჩვენის ცხოვრების საუკეთესოთ შემგნე ზოგის სიტყვები: «ვარია, თივს და ქერი სოფელს დაადო სარჯათა». მოთმინებიდან გამოსულმა სოფელმა და მამასახლისმა უზივლეს კიდევ, მაგრამ იგი სხვა-დასხვა სრივობით ზიროვლათ «მალდა აცოცეს».

ერთსელ კიდევ მომჩივებელი შეამავალი მეწვია. სიამოვნებით მივიღე, რადგანაც მარტობათ თავ-მოხუცრებული ვივავ და სომ მოგესხენებათ, თუ რა „მხელი არის მარტობასულისა“. ღვთის წინაშე, უოველივე სანოვავე თვით მოიტანა, მე არაფერი მაყიდეინა. ვავაც კი დავლიეთ (თუმიც მე არ ვივავ ჩეული). შემდეგ კარგი სადელი გასხელით, რამდენიმე ტიქა კასურიც გადავგზავნეთ მოუგუზრავში. კარგი და პატიო-

სანი! ჩემს სისარულს საზღვარი არა ჰქონდა. ვივიტობდი: «ეს რა ღვთისნიერი ადამიანი მეწვია-მეთქი». ჩემს არსებაში გაიღვიძეს მიმინებულმა გრძნობებმა, ამეშალა კეთილი და მდიდრულ-განცხრობითი ცხოვრების მადაც. მაგრამ ტუეილათ კი არ უთქვამთ: „წუთი-სოფელი იმიტომ გრქმევია, რომ ვეველავერი წუთობითა გცოდნია, უბედურობის მეტიოა». მალე მოკლე ბოლო ჩემს სისარულ-აღტაცებას. რომ შეიქნა ცხრა საათი, მან შეცვლილს, ბოსის სმით ჩამიერესულა: «Теперь вы должны освободить меня»-ო. მე «хорошо»-ს მეტი ვერაფერი ვერ ვუთხარ. რადგანაც შემატეო, რომ მეწვინა, ცოტა ხანს უკან დავმტა: «Ваничка, ხვალ შოკოლადიც მოვადულოთო». — Хорошо-მეთქი, ვუთხარი კიდევ, რადგანაც იმ ერთგვარ გუნებაზე შევიქენ, რომ რაც უნდა კვითხა, ან ეთქვას, სულ ასკილივით თავს ვაკანტურებდი და «სოროშო»-ს გავიძახდი. რა მექნა?! რავდენიმე წამის შემდეგ, ავდექ, ავივიდე ჩემი გუდა-ნაზადა და ვარებს რომ გამოვრილდი, მომავონდა ქართული ანდაზა: «გარეულმა ქათამმა შინაური ქათამი გაავლო» (აქ უნდა აღვნიშნო, რომ ოთახში ორი სარეული მეღაც, მასსადამე ორივეს შეგვეძლო იქ გვევითა დამე). რა თქმა უნდა მე შემეძლო უარი მეუთქვას, მაგრამ ვერ, ეს ერთი, უსიამოვნებას მოკვირდე, მეორეც, მან, როგორც შეგნებულ კაცს არ უნდა ჩავდინა ის, რის უფლებაც არა ჰქონდა არც კანონით, არც სინდილისით.

გადმოკვედი ოსმალეთიდან გადმოსკვირლ სომეხებით ზურგზე ტვირთ ავიდებული და შევედი სასამართლოში დასამინებლათ.

მასსოვს კიდევ, მაზჩაპეტი მოვიდა და სკოლისკენ გამოიარა. მე ავივანში ვივავქ და, რადგან იგი ვერ ვიცინი, სალაში არ მივეცი. განრისხებულმა მიმისმო თავისთან და ამავათ შემომძასა: «შენ როგორ გაბედე, რომ მე სალაში არ მომეციო!» მე მივეუკე, რომ ვერ ვიცინობდი და იმიტომ-მეთქი. «კარგიო, მე შენ გავგანობ თავსაო», და ვაბრუნდა. მას ეცნობებინა მთავრობისთვის და სასტიკი საუკვედური მომივიდა.

ვევლას, ეს მაგალითებიც საკმარისია, რათა მეათხველმა შეიძლოს იმის წარმოდგენა, თუ სოფლის მასწავლებელთ როგორ ექცევა მოხელეთა უმეტესი ნაწილი.

ამიტომ ვიდრე არ შეიგნებენ სოფლის მასწავლებელთა დიად მნიშვნელობას და არ ევდემიან მათის მდგომარეობის უოველ მხრე ვამყობებსობას, მანამ სოფლის მასწავლებელი ხალხის თვალში ვერც პატივისცემას მოიპოვებს და არც შესაფერის სარგებლობის მოტანა შეეძლება.

ვანო გიუნაშვილი.

ქურნალ-გასეთებიდან.

წარსულ კვირას „ივერიის“ 181 №-ში დაიბეჭდა ფელეტონი ალ. ს—შვილისა. ავტორი ამ ფელეტონში არჩევს ორ მოთხრობას, რომელიც «კვალში» იყო დაბეჭდილი. როგორც ვმხნევა, კრიტიკოსი მეტათ გულოუბრყვილო ადამიანია და ამასთან მკირე წლოვანიც, რადგანაც ასეთი ტიტინი და მსჯელობა მხოლოდ შეიდი წლის ბაღანას შეეფერება. მოთხრობაში „ნუ მიგყავთ, საზიაროა“, რომელსაც ვითომ და არჩევს პატივცემული ავტორი, აწერილია სხვათა შორის ერთი სურათი გლეხის ცხოვრებიდან; აწერილია, როგორ მიეჭრენ გლეხს სახლში სოფლის მოხელენი და სახელმწიფო ხარჯის გადასახდელათ

6) Idem.



წართვეს ღორი, რომლის მეტი ამ ოჯახს არაფერი არ გააჩნდა. ვინც კი ჩვენი სოფლის ცხოვრებას იცნობს, მისთვის ეს სურათი არ უნდა იყოს გასაკვირი და განსაკვირვებელი, ხოლო ჩვენი კრიტიკოსი კი დიდ განცვიფრებაში ჩაეარდნო და ასეთ, ღიახ რომ ბავშვურ, კითხვებს იძლევა:

«ჩუტა სად მოხდა ეგ ამბავი? ნუ თუ იმ დალოცვილ ქვეყანაში არც პრისტავი იყო, არც ნაჩაღნიკი, არც პოსრედნიკი, არც გუბერნატორი და არც სასამართლო, რომ მიხეილას (გლეხის) საჩივარი მოესმინათო... ვთქვათ, მოხელეებმა არ მოისმინეს მიხეილას საჩივარი, ნუ თუ ერთი კაი „დანოსჩიკი“ ვერ იშოვა, ათიოდე არზა დაეწერივნებინათ?»

ამ სიტყვების შემდეგ განა არ შეგვიძლია ვიკითხოთ: სად, რომელ ქვეყანაში ცხოვრობს ეს ახლათ მოვლენილი კრიტიკოსი? ნუ თუ იმ ქვეყანაში მართლა «დანოსჩიკები» ესარჩლებიან სიმართლეს? მკითხველისთვის მიგვიჩვენია, რომელი იცნობს ცხოვრებას, მოთხოვრების ავტორი, თუ ეს „ივერიის“ საუცხოვო კრიტიკოსი? მაგრამ ერთი კი აშკარაა: ეს ის, რომ ახლათ მოვლენილი „ივერიის“ კრიტიკოსი არზების და თხოვნების დიდი მოტრფიალე ყოფილა.

**წერილები რედაქციის მიმართ.**

ქ-ნო რედაქტორო! «კვალსკე» ნამუშაოში დასტამბულია სოფ. სამსითის სამკველ სკოლის მასწავლებლის ბ. ნაკაიძის წერილის შესახებ ექიმის ი. თიანძისა. რადგანაც იქ მოყვანილი ფაქტები ყველა სიმართლით არ არის გადმოცემული, მე წნეობრავათ გადღებულათ ვხდი ჩემს თავს ყველაფერი ნამდვილი გაცნობათ.»

გასულ ივნისის შუა რიცხვებში მე გამიხდა ჩემი ქალის შუადი ავად, რისთვისაც ოსურკეთიდან დავებარე ექიმი ბ. ი. თიანძი, ხალხი ხანი იყო ექიმი რომ მოვიდა, გასინჯა ჩემი ავადყოფი, რეცეპტი დაუწერა, დაგვარაგა თუ როგორ უნდა მოეხროთ ავადყოფის. შემდეგ ექიმმა გასინჯა რისი ჩვენის სოფლის ბავშვები, რომელნიც მძიმე ავადყოფი იყვნენ, და წამალი გამოუწერა. შემდეგ მოიყვანეს კიდევ ავადყოფი, რომელიც ცნობებს იქვე მასლობლათ და მოვიდა თავის ფესით; ეს ავადყოფი ექიმმა ვერ გასინჯა, რადგანაც დაღამებამდის ცოტა დრო იყო და უთხრა: «ეს ფესზე მდგომი ავადყოფია და შეგიძლიან ოსურკეთში აძოიყვანათო». ის ავადყოფი გახლავს მდიერ მასლობელი ნათესავი გუანისი მე ნაკაიძის. ერთმა იქ მყოფმა ავადყოფის ნათესავმა უთხრა ექიმს ბ. თიანძის ეს ავადყოფი კეთილშობილია და ესლავე გასინჯო; ამასვე ექიმმა ბ. თიანძი უხასუსა მის, რომ ექიმისათვის ავადყოფის წოდებას მნიშვნელობა არა აქვსო.

მღვდელი ბარნაბა თენიიშვილი.

**მცირე შენიშვნა.**

1899 წელს, როცა ბ-ნი ნ. მხეიძე განაგებდა ღანჩხუთის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს, სხვა-და-სხვა პირებს გაეგზავნა შემწეობის ბარათები, რომლებზედაც დღემდე არაფერი პასუხი არ მიგვიღია. ამისთვის ვთხოვთ ყველა იმ პირებს, რომლებმაც მიიღეს ასეთი ბარათები, დროით წარმოგვიდგინონ მათ მიერ შეგროვილი ფული და მასთან ერთათ ჩვენ მიერ გაგზავნილი ბარათებიც. ეს ეხლა მით უფრო საჩქაროა, რომ წიგნთსაცავ-სამკით-

ხველოსთვის ადგილი შევიძინეთ და ჩქარა ქვეყნის მშენობის აგებასაც ვეპირებით.

ადრესი: Ланчхуты, Ланчхутской бесплатной библиотекѣ.

ღანჩხუთის წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგე ი. გოგიჩაიშვილი.

27 აგვისტო 1901 წ.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წუკთელისა.

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.**

**ქალაქის პროგიმნაზია**

ელენე ბახტაძის დ. ხონში

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ, პირველ და მეორე პროგიმნაზიულ და აგრეთვე წელს გახსნილ მესამე პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოგზავნილ იქმნენ პროგიმნაზიის უფროსის — **მლენე ბახტაძის** სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში, 30 მანეთია წელიწადში. (4—2)

გამოვიდა და იყიდება **ლექსები და პოემები** ი. კვლავიშვილისა, მეორე შეესებული გამოცემა ავტორის სურათით გ. წ—ს და ამხ. ფასი **ათი შაური**. ვინც ათ ცალზე მეტს გამოიწერს, წიგნი დაეთმობა 25% დაკლებით. ადრესი: Редакция „Квали“, Г. Цулукидзе.

თფილისის კერძო სამკურნალო **მკურნალის მ. გვამავანიშვილისა** (ყუბა, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21). ტელეფონი № 247.

ავადყოფებს იღებენ ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა და იღი თ:

- გ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი, 8—10 საათ. მისივე გეგვანიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრონით — 9—10 საათ.
- გ. გ. მაღალაშვილი — შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
- ნ. ა. მელანი — ყურისა, ყელისა და ცხვირისა — 11—12.
- ი. ზ. ხსადუნაშვილი — კბილის სნეულებანი 10—12.
- ს. ნ. შატალავი — თვალისა, 11—12 საათ. ექიმი ქალი მ. ხ. ბაქრაძე — ბავშვებისა, 11—12.
- დ. ა. გვამავანიშვილი — ნერვებისა და შინაგანი, 1—2.
- ვ. ლ. მარკვეიანი — საქირურგო, 12 1/2 — 1 1/2 საათ., სამშაბათობით 3—2.
- ი. დ. ბგთაშვილი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1 1/2 — 2 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

- ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი, 5—6.
  - ს. ა. ბელოვოლოვა — შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მკრო-ქიმიური გამოკვლევანი, 5—6 საათ.
- ქ ვ ი რ ა ზ ბ ი თ:
- გ. გ. მაღალაშვილი — შინაგან ავადყოფ., 10—12. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩივადარავებისა 50 კ, ოპერაციები — მორიგებით. კრაუტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაუტი ღარიბთათვის უფასოა.